

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი



სამართლის სამაგისტრო პროგრამა  
თინათინ მეგრელაძე

**ჩხრეკა-ამოღება სისხლის სამართლის პროცესში  
(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი - **ნინო გოგნიაშვილი**  
ას.პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი  
2019

## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| გამოყენებული აბრევიატურა.....  | 3  |
| შესავალი.....  | 4  |
| I თავი .....   | 5  |
| ჩხრეკა-ამოღება (ზოგადი არსი).....  | 5  |
| 1.1 სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება .....  | 6  |
| 1.2 გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება.....  | 8  |
| 1.2.2 საგამოძიებო ორგანოების მხრიდან „გადაუდებელი აუცილებლობის“ ბოროტად გამოყენების საფრთხე.....                                     | 11 |
| II თავი .....  | 16 |
| თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება.....                                    | 16 |
| 2.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან მიმართებით .....                                | 18 |
| 2.2. სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისობა კონსტიტუციის მე-15 მუხლთან.....                                 | 22 |
| 2.3 სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან..... | 26 |
| III თავი .....   | 29 |
| აშშ-ის კონსტიტუცია და სასამართლო გამოცდილება თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან მიმართებით .....                                 | 29 |
| 3.1 აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორება.....  | 30 |
| 3.2 აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებაზე.....                              | 32 |
| IV თავი .....  | 39 |
| დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება.....   | 39 |
| დასკვნა.....   | 43 |
| ბიბლიოგრაფია .....   | 44 |

## გამოყენებული აბრევიატურა

სსსკ - სისხლის სასამართლის საპროცესო კოდექსი

გვ. - გვერდი

მაგ. - მაგალითად

რედ. - რედაქტორი

ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქ. - საქართველო

აშშ. - ამერიკის შეერთებული შტატები

წ. - წელი

გამომც. - გამომცემლობა

მთ. - მთავარი

შპს - შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს, კერძოდ, ჩხრეკა-ამოღებას, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთ ყველაზე შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებას. ნაშრომის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ ჩხრეკა-ამოღების პროცესის ხარვეზიანმა საკანონმდებლო რეგულირებამ ან/და ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან არაკეთილსინდისიერმა საქმიანობამ შეიძლება რეალური საფრთხის ქვეშ დააყენოს ადამიანის უფლებების დაცულობის ხარისხი, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების მხრიდან მართლმსაჯულების პროცესისადმი უნდობლობას გამოიწვევს.

საყურადღებოა, რომ ნაშრომში გამოკვეთილი ზოგიერთი პრობლემური საკითხი ამ დრომდე არ გამხდარა აქტიური მსჯელობის საგანი, რაზეც მეტყველებს ამ საკითხებთან დაკავშირებით ქართულენოვანი სამეცნიერო ნაშრომების სიმწირე, (ფაქტობრივად, არც არსებობს ნაშრომში წამოჭრილ ზოგიერთ საკითხზე რაიმე ლიტერატურა). ვფიქრობ, რომ ნაშრომის აქტუალურობა, გარდა საკვლევი საგამოძიებო მოქმედების განსაკუთრებით მზღუდავი ბუნებისა, განპირობებულია იმითაც, რომ არ ეხება მრავალგზის განხილულ და ამკარა პრობლემებს.

ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს ჩხრეკა-ამოღების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რაც კონსტიტუციით დაცულ ადამიანის უფლებებს უქმნის რეალურ საფრთხეს, ასევე გამოკვლეულ იქნეს ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის კანონშესაბამისობა, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას, რომელიც სახელმძღვანელოა საერთო სასამართლოებისთვის. წინამდებარე ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს, გამოკვეთოს ის რისკები, რომელიც გამოძიების პროცესში შეიძლება წარმოიშვას და გაამახვილოს ყურადღება ამის ხელშემწყობ ფაქტორებზე. ნაშრომის მიზანია მკითხველს დაანახოს ის არათანასწორი მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება დაცვის მხარე მისი ინიციატივით ჩხრეკა-ამოღების ჩატარების დროს (ბრალდების მხარესთან შედარებით). ზემოაღნიშნული პრობლემების გამოკვეთის გზით, საბოლოო მიზანს წარმოადგენს შესაბამისი გამოსავლის ძიებით დროულად აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყენებული იქნა შემდეგი კვლევის მეთოდები: ფორმალურ-იურიდიული, შედარებით-სამართლებრივი და ლოგიკური.

მოცემულ ნაშრომში ძირითადად განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1) გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხეები;

2) სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, მისი კანონშესაბამისობა და ასევე ზემოაღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი;

3) ნაშრომში განხილული იქნება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკასთან მიმართებით, რომელთაგან ნაწილის ქართულ მართლმსაჯულებაში ადაპტირება, ვფიქრობ, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

4) ასევე განხილული იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით და დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული ამ საგამოძიებო მოქმედების ხარვეზები.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შედგება: შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისგან. ძირითადი ნაწილი თავის მხრივ, შედგება ოთხი თავისა და ქვეთავებისგან.

## I თავი

### ჩხრეკა-ამოღება (ზოგადი არსი)

ჩხრეკა და ამოღება ადამიანის უფლებების შემზღვეველი ყველაზე გავრცელებული საგამოძიებო მოქმედებებია, რომლებიც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის აღმოჩენის და სისხლისსამართლებრივ პასუხიგებაში მიცემისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისკენ. „ჩხრეკის მიზანია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის აღმოჩენა (მოძიების გზით), ფიქსაცია და ამოღება, ხოლო ამოღების - საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის ფიქსაცია და ამოღება (ჩხრეკისგან განსხვავებით, ძებნა არ ხდება ამ შემთხვევაში). ჩხრეკა-ამოღების მიმართ სასამართლო კონტროლი შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. სასამართლო კონტროლის სამ მოდელს განასხვავებენ:

- **„სასამართლოსგან აბსოლუტურად გამიჯნული წინასწარი გამოძიება**, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო არ ერევა წინასწარი გამოძიების მიმდინარეობაში და მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ, როცა საქმე სასამართლოს გადაეცემა მაშინ ამოწმებს რამდენად კანონიერად ჩატარდა ესა თუ ის საგამოძიებო მოქმედება. შესაბამისად პროკურორს/გამომძიებელს არ სჭირდება წინასწარი სასამართლო ნებართვა - განჩინება, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად. ეს მოდელი მოქმედებულია და არ შეესაბამება ადამიანის უფლებებს.

- **სრული სასამართლო გამოძიება**, როცა წინასწარი გამოძიების ყველა ნაბიჯი უნდა იყოს შეთანხმებული მოსამართლესთან. ფაქტობრივად გამოძიება მოსამართლის მიერ ტარდება.
- **შერეული მოდელი**, როცა წინასწარ გამოძიებაზე ამათუიშ ფორმით დაწესებულია სასამართლო კონტროლი.<sup>1</sup>

საქართველოში დღეს მოქმედებს ე.წ. „შერეული მოდელი“, ვინაიდან არსებობს სასამართლო კონტროლის ორი ფორმა - წინასწარი და შემდგომი სასამართლო კონტროლი, რომლის მიზანია ყველა იმ პირის პირადი ცხოვრების, საკუთრების ხელშეუხებლობის დაცვა სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისაგან ვისთანაც ტარდება ჩხრეკა-ამოღება. განვიხილოთ სასამართლო კონტროლის ფორმები ცალკეულ კვ:

### 1.1 სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება

სსსკ-ის თანახმად, ჩხრეკა-ამოღება ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვის, ანუ განჩინების საფუძველზე. აღნიშნული წარმოადგენს ძირითად წესს, რომლიდანაც საგამონაკლისო შემთხვევებს ითვალისწინებს სსსკ-ის 112-ე მუხლის V პუნქტი, რაზეც დაწვრილებით იქნება საუბარი ნაშრომის მომდევნო (1.2) თავში.

ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად სასამართლოს შესაბამისი განჩინების წინასწარ მიღების აუცილებლობა, მნიშვნელოვანი გარანტიაა პიროვნების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად.

წინასწარი ანუ სანებართვო სასამართლო კონტროლი ნიშნავს, რომ არ არსებობს საგამონაკლისო შემთხვევა - გადაუდებელი აუცილებლობა და ძირითადი წესის შესაბამისად, პროკურორმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს, სასამართლო შუამდგომლობის განხილვის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ან გასცემს განჩინებას ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარების შესახებ ან უარს ამბობს ამ განჩინების გაცემაზე.

მოსამართლე, ვიდრე გადაწყვეტს დააკმაყოფილოს თუ არა პროკურორის შუამდგომლობა ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად განჩინების გაცემის თაობაზე, „აფასებს არსებობს თუ არა **ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველები**. ფორმალური საფუძველი გულისხმობს იმ საკითხების შემოწმებას, რაც აუცილებელია

შუამდგომლობის განხილვის დასაწყებად, მაგალითად: განსჯად სასამართლოშია თუ არა შემოტანილი შუამდგომლობა; წარმოადგინა თუ არა შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოში მისი მოთხოვნის განსახილველად და გადასაწყვეტად საჭირო მასალები; აკმაყოფილებს თუ არა შუამდგომლობა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (სსსკ-

<sup>1</sup>ო. ჯორბენაძე - წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები. ნაწილი პირველი (2016 წელი) გვ:3-4

ის 93-ე მუხლი). ფაქტობრივი საფუძველი კი გულისხმობს წარდგენილი მტკიცებულებები იძლევა თუ არა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს იმისა, რომ საძებნი/ამოსაღები საგანი ინახება ამ კონკრეტულ პირთან (ან შენობაში) რომლის მიმართაც არის განჩინების გამოცემა მოთხოვნილი და ამისთვის საჭიროა ძებნა (ჩხრეკის შემთხვევაში) ან ძებნა არ არის საჭირო (ამოღების შემთხვევაში),“<sup>2</sup>

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „ჩხრეკისა და ამოღების ჩასატარებლად საჭირო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი არ არის იდენტური, ვინაიდან ჩხრეკა უფრო მეტად ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამიტომ ამოღებისგან განსხვავებული სტანდარტია დადგენილი ჩხრეკისთვის, რომლის მიხედვითაც შუამდგომლობის აღმძვრელმა მხარემ უნდა მიაწოდოს სასამართლოს ინფორმაცია არა მხოლოდ იმის შესახებ, რომ ამოსაღები ობიექტი იმყოფება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან, არამედ იმის მითითებასაც, რომ მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა, რაც შესაბამისი დოკუმენტებით უნდა იყოს გამყარებული.“<sup>3</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას სრულად არის დამოკიდებული შუამდგომლობის წარმდგენი მხარის მიერ მიწოდებულ მასალებზე, რომელთა სანდოობის შემოწმების ობიექტური შესაძლებლობა სასამართლოს არა აქვს, ვინაიდან ქართული სისხლის სამართლის პროცესი არ აღიარებს ინკვიზიციურობის პრინციპს, შესაბამისად, მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას ჩაერთოს გამოძიების პროცესში რაიმე ფორმით და შეამოწმოს მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობა. ამიტომ მოსამართლემ გულდასმით უნდა შეათვასოს მხარის მიერ წარდგენილი მასალების საკმარისობა, იმისთვის, რომ გასცეს ნებართვა ადამიანის მნიშვნელოვანი უფლების - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესაზღუდად. „იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული დაუსაბუთებელი ჩხრეკა, საჭიროა სასამართლოს განჩინების დეტალიზაცია, რისთვისაც საჭიროა განჩინებით ზუსტად განისაზღვროს: 1) გასაჩხრეკი ტერიტორია/ობიექტი 2) ამოსაღები საგნები“<sup>4</sup>, რათა არ მოხდეს თვითნებურად გაფართოება ჩხრეკის არეალის.

მოსამართლეების მხრიდან ავტომატურად არ უნდა მოხდეს ჩხრეკა-ამოღების განჩინების გაცემა, არამედ, მაქსიმალურად შეზღუდული რაოდენობით, როდესაც დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი გადაწონის კერძო პირის ინტერესს, ანუ, როცა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გარეშე შეუძლებელი იქნება დანაშაულის ჩამდგინი

<sup>2</sup> ო. ჯორბენაძე - წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები. ნაწილი პირველი (2016 წელი) გვ: 45-46

<sup>3</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმე N 1გ-139. გვ: 4, აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <http://library.court.ge/judgements/29402015-02-16.pdf>

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედ. ფაფიაშვილი ლ. 2017. გვ: 441-442

პირის გამოვლენა და საქმისთვის საჭირო მტკიცებულებების სხვა გზით მოპოვება საჭიროებს არაგონივრულ დროს, რესურსს ან/და ძალისხმევას. მოსამართლის განჩინება ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ „არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ოპერატიულ/არასაპროცესო ინფორმაციას. უნდა არსებობდეს მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაცია, (მაგ: გამოკითხვის ოქმი) რომლის სანდოობა შუამდგომლობის ავტორის მიერ სათანადოდ იქნება დასაბუთებული და რაც დაადასტურებს ჩხრეკა-ამოღების ჩატარების საჭიროებას.“<sup>5</sup> ამასთანავე აღსანიშნავია, რომ განჩინების მისაღებად წარდგენილი მტკიცებულებების საკმარისობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე ინდივიდუალურად. „ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რაც შეიძლება არ იყოს საკმარისი რომელიმე სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია საკმარისი აღმოჩნდეს დასაბუთებული ვარაუდის არსებობისთვის, რაც, თავის მხრივ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის სტანდარტს წარმოადგენს.“<sup>6</sup>

## 1.2 გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება

სსსკ. გამონაკლისის სახით უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ჩხრეკა-ამოღება ჩატარდეს სასამართლოს წინასწარი ნებართვის - შესაბამისი განჩინების გარეშე, კერძოდ კი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. სსსკ-ის 112-ე მუხლის V პუნქტში პირდაპირაა განწერილი თუ რა ითვლება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევად, შესაბამისად, გამოძიების ჩამტარებელი პირი ვერ გასცდება კანონით დადგენილ ამ ფარგლებს და ვერ იტყვის, რომ მან საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩაატარა.

ნორმატიული განმარტებიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობა არის ის შემთხვევა, როცა დაყოვნება შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისთვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად) ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე. შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც „თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით

<sup>5</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედ.

ფაფიაშვილი ლ. 2017 გვ: 440

<sup>6</sup>ნ. მჭედლიძე - საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები. თბილისი (2017 წლის იანვარი)გვ: 157



გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებელი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე,<sup>7</sup> ვინაიდან ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის ჩადენაში კონკრეტული პირის/პირების მამხილებელი მტკიცებულებების განადგურება, დანაშაულის კვალის წაშლა, დამნაშავის მიმალვა და სხვა გამოუსწორებელი შედეგები.

გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩხრეკა-ამოღება ტარდება გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე. პროკურორმა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა ამის შესახებ უნდა აცნობოს სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა ეს საგამოძიებო მოქმედება ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს. შესაბამისად, „გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა კი არ გამორიცხავს სასამართლო ზედამხედველობის აუცილებლობას, არამედ მას მხოლოდ დროში გადაანაცვლებს“<sup>8</sup> ასეთ შემთხვევაში სასამართლო კონტროლი შემონმებითი ხასიათისაა.

სასამართლო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერებას ამოწმებს პროკურორის მიერ შუამდგომლობის და შესაბამისი მასალების შეტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. სასამართლო აღნიშნული შუამდგომლობის გადასაწყვეტად აფასებს, რამდენად დასტურდება საქმეზე წარმოდგენილი მასალებით, რომ რეალურად არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, რაც ობიექტურად გამორიცხავდა სასამართლოსთვის განჩინების მისაღებად მიმართვის შესაძლებლობას. „იმისთვის, რომ სასამართლომ კანონიერად ცნოს ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება, საჭიროა, პროკურორმა დაასაბუთოს, თუ რატომ იყო გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, ამისთვის კი, მხოლოდ ჰიპოთეტური მოსაზრებები, საქმესთან კავშირის არმქონე ვარაუდები არ არის საკმარისი“<sup>9</sup>

პრაქტიკაში შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი ვითარებაც, როდესაც ჩხრეკა-ამოღება ტარდება არათუ სასამართლოს განჩინების გარეშე, არამედ გამომძიებლის დადგენილების არ არსებობის ვითარებაშიც. აქედან გამომდინარე, „გადაუდებელი აუცილებლობა პირობითად ორი სახის შეიძლება იყოს: 1) როდესაც შესაძლებელია დადგენილების გამოტანა და 2) როცა მოვლენათა განვითარების სისწრაფიდან

<sup>7</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/3/407 II 3.26 ა მე-3. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <https://www.constcourt.ge/ge/legislation/judgments/sagartvelos-axalgazrda-iuristta-asociacia-da-sagartvelos-mogalage-ekaterine-lomtadze-sagartvelos-parlamentis-winaagmdeg-429.page>

<sup>8</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/625,640 II, 3. 34 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731?publication=0>

<sup>9</sup>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში. ანგარიში N 12 (2018 წელი) გვ:96

გამომდინარე, შეუძლებელია დადგენილების გამოტანა.“<sup>10</sup> პირველი შემთხვევა გულისხმობს ზოგად წესს, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო ბრალდების მხარეს არა აქვს დრო სასამართლოს ნებართვის გამოსათხოვად და ასეთ დროს აუცილებელია გამომძიებლის დადგენილების შედგენა, რომელიც უნდა გაეცნოს პირს, რომელთანაც ტარდება ჩხრეკა-ამოღება. „მეორე შემთხვევაში კი დადგენილების შედგენაც ვერ ესწრება ჩხრეკა-ამოღების ჩატარებამდე და არც ადგილზე შედგენა შესაძლებელი. ასეთი შემთხვევაა მაგალითად, როცა პოლიციის თანამშრომელი შეესწრო დანაშაულს ან გამოძახებაზე მიდის და არ იცის იმ პირის ვინაობა ვის მიმართაც, შეიძლება საჭირო გახდეს ჩხრეკა-ამოღების ჩატარება. ვერცერთ ასეთ შემთხვევაში დადგენილება ვერ იარსებებს, ვინაიდან, უცნობია ამ პირების ვინაობა ხოლო შემთხვევის ადგილზე შესაძლოა საჭირო იყოს პირის განიარაღება და ასეთ ვითარებაში გამომძიებელი მოკლებულია ობიექტურ შესაძლებლობას ადგილზე გამოარკვიოს პირის ვინაობა და შეადგინოს დადგენილება.“<sup>11</sup>

„გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად საჭიროა, რომ გადაუდებელი აუცილებლობა არსებობდეს არა მხოლოდ დაწყების მომენტში, არამედ- მიმდინარეობის დროსაც. შესაბამისად, როგორც კი გაქრება გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, საგამომძიებო ორგანოს აღარ აქვს უფლება გააგრძელოს საგამომძიებო მოქმედება“<sup>12</sup>

საგამომძიებო ორგანოები ყოველთვის უნდა ცდილობდნენ მიიღონ წინასწარი ნებართვა - განჩინება განსჯადი სასამართლოსაგან. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში (როგორცაა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა), როცა გაჭიანურებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჩხრეკა-ამოღების შედეგს - მაგ: მტკიცებულებების განადგურების სახით, შეიძლება ჩატარდეს აღნიშნული საგამომძიებო მოქმედება განჩინების გარეშე, დადგენილების საფუძველზე, თუმცა „გაჭიანურება, როგორც საფრთხე ვერ დასაბუთდება იმ აბსტრაქტული მითითებებით, რომ მოსამართლე განჩინებას ჩვეულებრივ ვერ გასცემს გარკვეულ დრომდე ან გარკვეული დროის მონაკვეთში, ვინაიდან, სასამართლოები ვალდებული არიან, თუნდაც მორიგეობის დაწესების გზით, უზრუნველყონ მაგისტრატი მოსამართლის ხელმისაწვდომობა“<sup>13</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, რომ ქართული კანონმდებლობა ჩხრეკა-ამოღების ჩატარებას სასამართლოს განჩინების გარეშე უშვებს, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როცა

<sup>10</sup>საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედ. ლ. ფაფიაშვილი (2017) გვ:450

<sup>11</sup>სააპელაციო სასამართლოს 2016 წ.-ის 14 ივლისის განჩინება 1გ/ 1197 გვ: 6 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <http://library.court.ge/judgements/5232016-07-20.pdf>

<sup>12</sup>საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედ. ლ. ფაფიაშვილი (2017) გვ: 452

<sup>13</sup>ი. შვაბე - გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (2011 წელი) გვ:239

სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობა. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლამდე განხორციელებული სასამართლო მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი ტენდენცია, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების საგამონაკლისო ხასიათს. კერძოდ, მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბრალდების მხარე ძირითადი წესის (სასამართლოსთვის შესაბამისი განჩინების გამოცემის მოთხოვნით მიმართვა) უგულებელყოფით ატარებს ჩხრეკასა და ამოღებას და ძალიან ხშირად იყენებს ზემოაღნიშნულ საგამონაკლისო წესს. „ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობებიდან და პროცესზე გაუღერებული გარემოებებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ჩხრეკისა და ამოღების 155 შემთხვევიდან მხოლოდ 13 (8%) ჩატარდა სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ხოლო 142 (92%) -- გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით“<sup>14</sup>, საიდანაც 92% სასამართლოს მიერ კანონიერად იქნა ცნობილი.

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საგამოძიებო ორგანომ 1 წლის განმავლობაში (2017-2018 წწ) ჩატარებული ჩხრეკა-ამოღებისას უმეტეს შემთხვევაში ისარგებლა საგამონაკლისო წესით და ასეთი საგამოძიებო მოქმედებების 92% ჩაატარა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. ყოველივე ეს ბაღებს გონივრულ ეჭვს იმისა, რომ ბრალდების მხარე არ ითვალისწინებს კანონმდებლის მიერ დადგენილ ძირითად წესს და მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებს, რომელშიც შეიძლება საგამონაკლისო წესით სარგებლობა, ამგვარ მიდგომას კი ხელს უწყობს განჩინების გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების უმრავლეს შემთხვევაში (92%) სასამართლოს მიერ კანონიერად ცნობა.

### 1.2.2 საგამოძიებო ორგანოების მხრიდან „გადაუდებელი აუცილებლობის“ ბოროტად გამოყენების საფრთხე

ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, წარმოშობს იმის საფრთხეს, რომ გამოძიების ჩამტარებელი სუბიექტი შეიძლება გასცდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, დაუსაბუთებლად შეზღუდოს კერძო პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, ამიტომ საჭიროა სასამართლოს შემდგომი კონტროლი იყოს ეფექტური, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი „არაკეთილსინდისიერი“ გამოძიების საფრთხეები.

საერთო სასამართლოები თავადვე შენიშნავენ, რომ „ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოებაზე შემდგომი (შემონშებითი) სასამართლო კონტროლის ეფექტურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკა აჩვენებს ჩხრეკა-ამოღების აბსოლუტური უმრავლესობა გადაუდებელი აუცილებლობის

<sup>14</sup>სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში. ანგარიში N 12 (2018 წელი) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. გვ:97

საფუძვლით, განჩინების გარეშე, ტარდება<sup>15</sup>, რითაც საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამ უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების კიდევ უფრო მეტი რისკი იქმნება. განსაკუთრებით მატულობს საფრთხე, როდესაც ასეთი საგამოძიებო მოქმედება მხოლოდ ოპერატიული (კონფიდენტის მიერ მიწოდებული) ინფორმაციის საფუძველზე ტარდება, რაც არ არის გამყარებული სხვა დამატებითი მტკიცებულებით და თავის მხრივ, ასეთ ინფორმაციაზე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის III პუნქტის თანახმად საპროკურორო ზედამხედველობა შეზღუდულია. სასამართლო კი სრულად მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს იგი.

საგამოძიებო ორგანოების მხრიდან თვითნებობის რისკს ზრდის მათი პროფესიული დაინტერესება გაიმარტივონ გამოძიების პროცესი. „როცა სტრუქტურა პასუხისმგებელია წარმატებულ გამოძიებაზე და მის ინტერესში შედის, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვება, თუ არ იარსებებს სათანადო კონტროლის მექანიზმები ბუნებრივია, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ცდუნება და რისკებიც მეტი იქნება“<sup>16</sup> ასეთი რისკების მინიმუმამდე დაყვანისთვის აუცილებელ გარანტს წარმოადგენს სასამართლო.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერების შემოწმების დროს უნდა შეათვასოს რამდენად არსებობდა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ კონკრეტულ პირთან ინახება დანაშაულთან დაკავშირებული რაიმე საგანი/ობიექტი/დოკუმენტი და დაუშვებელია, რომ სასამართლო ამ დროს დაეყრდნოს ჩხრეკა-ამოღების ჩატარების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ვინაიდან, პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვამდე გარკვეული მტკიცების ვალდებულების გაქრობა ჩატარებული ღონისძიების შედეგად ამოღებული ნივთის მოლოდინით, არსებითად შეეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც გამოძიებას წინასწარ აკისრებს უსაფუძვლო ღონისძიებებისგან და ადამიანის უფლებების გადამეტებული შეზღუდვისგან თავის არიდების ვალდებულებას. „კანონმდებლობა ადეკვატური მექანიზმებით უნდა ქმნიდეს ისეთ ვითარებას, რომ საჯარო ინტერესების მისაღწევად უფლებებაში ჩარევა ხდებოდეს მხოლოდ რეალური აუცილებლობის (რეალური გადაუდებელი აუცილებლობის) შემთხვევაში“<sup>17</sup>

<sup>15</sup>სააპელაციო სასამართლოს 2016 წ.-ის 14 ივლისის განჩინება 1გ/1197 გვ: 5 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <http://library.court.ge/judgements/5232016-07-20.pdf>

<sup>16</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/625,640II, პ. 55 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731?publication=0>

<sup>17</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/3/407 II პ. 9 ა.3 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-axalgazrda-iuristta-asociacia-da-saqartvelos-mogalage-ekaterine-lomtadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-429.page>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განჩინების გარეშე შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკა-ამოღება ისეთ შემთხვევაშიც, როცა თანამესაკუთრე ან თანამფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე განაცხადებს ამაზე თანხმობას. ერთი შეხედვით რა რისკები შეიძლება არსებობდეს, მაშინ, როცა პირი თავად აცხადებს თანხმობას მისი უფლების შეზღუდვაზე. თუმცა, აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გამომძიებლის თხოვნა ჩხრეკაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, ბევრი ადამიანის მიერ შეიძლება აღქმული იყოს როგორც მოთხოვნა და უარი თანხმობის/ნებართვის მიცემაზე ბევრი ადამიანისთვის უკავშირდება არასასურველ შედეგებს. ჩვეულებრივი მოქალაქის ამგვარი ეჭვი/შიში შეიძლება სავსებით საფუძვლიანი იყოს, ვინაიდან, გამომძიებელი დაინტერესებულია გაიმარტივოს საქმე და ჩხრეკაზე თანხმობის გაცემა ამისთვის საუკეთესო ვარიანტია, რადგან ასეთ შემთხვევაში მას არ სჭირდება წინასწარ რაიმე მტკიცებულების არსებობა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, არ სჭირდება არც სასამართლოს წინასწარი ნებართვა და არც დადგენილების შედგენა, ასეთ ჩხრეკას არა აქვს წინასწარ დადგენილი ფარგლები (რა ობიექტი უნდა იქნეს გაჩხრეკილი, რა უნდა ამოიღონ და ა.შ.), როგორც ეს განჩინებაში/დადგენილებაში განისაზღვრება. შესაბამისად, მაღალია იმის ალბათობა, რომ გამომძიებელი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თანხმობა მიიღოს, თუმცა იმგვარი ფორმით, რომ თანხმობას კანონიერი სახე ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში ჩხრეკაზე თანხმობის გამცემს (ადვოკატთან კომუნიკაციის შემდეგ) სასამართლოში გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ მის მიერ გაცემული თანხმობა არ იყო ნებაყოფლობითი და რომ მან თხოვნა აღიქვა, როგორც მოთხოვნა. ვინაიდან, დიდია იმის ალბათობა, რომ სასამართლო სამართლადამცავი ორგანოს წარმომადგენლის პოზიციას უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს ვიდრე იმ პირისა, რომელმაც თავისი თანხმობა ხელმოწერით დაადასტურა.

იმისთვის, რომ ჩხრეკა-ამოღება ჩატარდეს კანონიერად, შესაბამისი ნორმატიული აქტით სრულყოფილად უნდა გაინეროს ამ საგამომძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო პროცედურები. საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, რაც მოიცავს ასევე პირის უფლებას, რომ მისი საცხოვრებელი დაცული იყოს უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ჩარევისგან სახელმწიფოს მხრიდან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პირის მშვიდ და დაცულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა.

კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებლის ჩხრეკა, ამოღება და სხვაგვარი შემონეშება შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს,

აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ჩარევა არის თანაბარზომიერი. ამასთანავე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ პირებს მიანიჭოს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად დაიცვას თავი სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე - **კამენზინდი შვეიცარიის წინააღმდეგ**, განსაზღვრა ის სტანდარტები, რაც საჭიროა ჩხრეკა-ამოღების ლეგიტიმურობისთვის, კერძოდ:

- „ჩხრეკა უნდა ჩატარდეს შეზღუდული რაოდენობის მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების ბრძანების საფუძველზე. უნდა ჩაატაროს შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე პირმა;
- თუ არსებობს ეჭვი ჩხრეკის ჩამტარებელი პირების მიკერძოებასთან დაკავშირებით, მათ აცილება უნდა დააყენონ;
- საცხოვრებელში ან სათავსოში ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ ეჭვმიტანილი იქ იმალება, ან ამოსაღები საგანი ან ნივთმტკიცებულება შეიძლება იქნეს აღმოჩენილი;
- ჩხრეკა არ შეიძლება ჩატარდეს კვირას ან საღამოსასწაულო დღეს ან ღამით გარდა მნიშვნელოვანი და გარდაუვალი საფრთხის არსებობის შემთხვევისა;
- ჩხრეკის დასაწყისში გამომძიებელმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სათავსოს მფლობელს აცნობოს ჩხრეკის მიზანი. ასევე ამ უკანასკნელს ან მის ოჯახის წევრს უნდა ეთხოვოთ დაესწრონ ჩხრეკას;
- ჩხრეკას უნდა დაესწროს ასევე საჯარო მოხელე, რათა უზრუნველყოს, რომ ჩხრეკამ არ გადაუხვიოს მიზანს;
- ჩხრეკის ოქმი დაუყოვნებლივ უნდა შედგეს იმ პირების თანდასწრებით, რომლებიც ესწრებოდნენ მას და მოთხოვნის შემთხვევაში მათ უნდა გადაეცეთ ოქმის ასლი და ჩხრეკის ორდერი;
- დოკუმენტების ჩხრეკა ექვემდებარება სპეციალურ შეზღუდვებს;
- გარემოების მიუხედავად ეჭვმიტანილებს აქვთ წარმომადგენლობის უფლება;
- ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა საგამომძიებო მოქმედება და რომელსაც აქვს ინტერესი შემოწმდეს ამ ღონისძიების კანონიერება უნდა შეეძლოს სასამართლოში გასაჩივრება;
- თუ არ დადასტურდა ვარაუდი, „ეჭვმიტანილს“ შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება მიყენებული ზარალისთვის.“<sup>18</sup>

<sup>18</sup>ნ. მჭედლიძე, ვ. კორკელია და ა. ნალბანდოვი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან (2003 წელი) გვ: 198-199

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩხრეკის მიმდინარეობისას „განმცხადებლის და სხვა მონმეების ყოფნა ჩხრეკის ადგილას მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული, როგორც ფაქტორი იმისა, რომ აპელანტს საშუალება აქვს აკონტროლოს ჩხრეკის ფარგლები, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, სასამართლოს შესაბამისი ნებართვის ან შემდგომი შემონმების გარეშე ვერ იქნება გამორიცხული იმის რისკი, რომ გამომძიებლები უფლებამოსილებას ბოროტად არ გამოიყენებენ.“<sup>19</sup>

ჩხრეკა-ამოღების კანონიერების შეფასებასთან დაკავშირებით, საინტერესოა საქმე **Buck v. Germany**, რომლის თანახმად, „განმცხადებლის შვილს ბრალად ედებოდა ავტომობილით მოძრაობის წესების დარღვევა. ეს ავტომობილი ეკუთვნოდა იმ კომპანიას, რომლის მენეჯერიც იყო თავად განმცხადებელი. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ მის კომპანიაში ჩატარებული ჩხრეკა და გარკვეული დოკუმენტების ამოღება არღვევდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, კონვენციის მე-8 მუხლს. საკუთრივ, ის დავობდა იმ საკითხზე, რომ ჩხრეკა-ამოღება ჩატარდა მესამე პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო.“<sup>20</sup> „ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეზე ადგილი ჰქონდა ჩარევას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში. ამის შემდეგ, სასამართლომ იმსჯელა იყო თუ არა აღნიშნული ჩარევა კანონიერი, ანუ ჰქონდა თუ არა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ლეგიტიმური მიზანი და იყო თუ არა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა გამომდინარეობდა კანონიდან (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან), რაც შეეხება ლეგიტიმურ მიზანს, ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება მიზნად ისახავდა დამრღვევი პირის გამოვლენას“<sup>21</sup> რაც შეეხება მესამე ელემენტს -- აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროსასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობის წესის დარღვევა არის მსუბუქი ხასიათის გადაცდომა, რაც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არ ითვლება დანაშაულად. ამასთანავე ჩხრეკა ჩატარდა იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც არ ედავებოდნენ ამ დარღვევის ჩადენას. სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილი ეკუთვნოდა განმცხადებლის კომპანიას ჩხრეკა მიმართული იყო არა ამ უკანასკნელის, არამედ, მისი შვილის წინააღმდეგ, რომელიც მესამე პირს წარმოადგენდა. ამის საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა

<sup>19</sup>Guide on Article of the European Convention on Human Rights (Right to respect for private and family life, home and correspondence), European Court of Human Rights, 2019. გვ:78

<sup>20</sup>Buck v. Germany (2005) გვ:6 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <https://www.legal-tools.org/doc/5f362f/pdf/>

<sup>21</sup>იქვე გვ:7,8

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩატარებული ჩხრეკა, არ იყო პროპორციული ლეგიტიმური მიზნის.<sup>22</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული სტანდარტები მნიშვნელოვანია ვინაიდან, ეხება ჩხრეკა-ამოღების ყველა იმ ძირითად ასპექტს, რომლის დაუცველობამაც შეიძლება გამოიწვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არამართლზომიერი შეზღუდვა.

წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება თუ ქართული კანონმდებლობა და საგამოძიებო პრაქტიკა მოერგება ამ სტანდარტებს. მაგალითად მნიშვნელოვანი იქნება თუ იმ ქონების მესაკუთრეს/ მფლობელს ან მის ოჯახის წევრს ჩხრეკის ჩამტარებელი შესთავაზებს, რომ დაესწროს ამ საგამოძიებო მოქმედებას, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის ამ პროცესს და ჩხრეკა-ამოღების მიმდინარეობის კანონიერება ეჭვს აღარ გააჩენს, მაშინ როცა დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის III პუნქტი ითვალისწინებს მხოლოდ ჩხრეკა-ამოღების ადგილზე მყოფი პირებისთვის წასვლის აკრძალვის შესაძლებლობას, რაც ისევ გამოძიების ინტერესებს ემსახურება, რათა კონკრეტულმა პირმა გასაჩხრეკი ობიექტიდან არ წაიღოს ნივთმტკიცება ან საქმისთვის მნიშვნელოვანი სხვა საგანი. შესაბამისად, დღეს მოქმედი კანონმდებლობით საგამოძიებო მოქმედების გამჭვირვალობა მეორეხარისხოვანია, რაც არასწორი მიდგომაა. ასევე არ ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა ჩხრეკაზე საჯარო მოხელის დასწრების შესაძლებლობას, რომელიც გაუწევს კონტროლს, რომ ჩხრეკა-ამოღება არ გასცდეს იმ მიზანს, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი განჩინებით/დადგენილებით.

ევროპული სასამართლოს სტანდარტებისგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამატებით, სპეციალურ შეზღუდვებს დოკუმენტების ჩხრეკის დროს, რაც განსაკუთრებით საჭირო ხდება, როცა დოკუმენტი სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების შემცველია და არსებობს განმაურების რეალური საფრთხე.

## II თავი

### თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ჩხრეკა-ამოღება შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს ნებართვის (შესაბამისი განჩინების) საფუძველზე ან გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სახეგა გადაუდებელი აუცილებლობა, რაც ობიექტურად გამორიცხავს სასამართლოსგან

<sup>22</sup>Buck v. Germany გვ: 11-12



განჩინების გამოთხოვის შესაძლებლობას, ისე, რომ არსებითი ზიანი არ მიაღწეს საქმის გამოძიებას. სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ჩხრეკა-ამოღება ჩატარდეს განჩინების და დადგენილების გარეშე, თუკი სახეზეა თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა, რაც განსხვავდება ამოსაღები ნივთის ნებაყოფლობით გადაცემისგან, ვინაიდან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოძიებელს აქვს შესაბამისი განჩინება ან დადგენილება, რომლის საფუძველზე მას შეუძლია ჩაატაროს ჩხრეკა ან/და ამოღება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ე.წ. „გადაუდებელი აუცილებლობის გადაუდებელი აუცილებლობა“, რაც გამორიცხავს დადგენილების (მითუმეტეს განჩინების) გამოტანის შესაძლებლობას, როგორც მინიმუმ არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. თანამესაკუთრის თანხმობის შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არ არის საჭირო რაიმე დოკუმენტის არსებობა და 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული რომელიმე სუბიექტის თანხმობა, წარმოადგენს საკმარის საფუძველს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესაზღუდად.

ამ საკითხთან მიმართებაში არაერთგვაროვანი მიდგომაა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, ამიტომ ნაშრომის ამ თავის ერთ-ერთ ქვეთავში განხილული იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს, როგორც სასამართლო პრაქტიკის დამდგენი ბოლო ინსტანციის სასამართლოს პოზიცია მოცემულ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით.

ჩხრეკა-ამოღება, როგორც ნაშრომის შესავალშივე აღინიშნა, წარმოადგენს ისეთ საგამოძიებო მოქმედებას, რომლის დროსაც შესაძლოა შეიზღუდოს ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლება როგორცაა პიროვნებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ამ უფლების დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის მე-15 მუხლი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, აწესებს აუცილებლობას, „წინასწარ იქნეს მიღებული სასამართლოს თანხმობა ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარებაზე ან ჩხრეკის ან/და ამოღების გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩატარების შემთხვევაში შემდგომ შეამონმოს სასამართლომ ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერება <sup>23</sup> “. სასამართლო კონტროლის არსებობა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სრულად იქნება დაცული ჩატარებული ან ჩასატარებელი ჩხრეკა-ამოღების კანონშესაბამისობა, რადგან ეს გარკვეულ პროცედურულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. თუმცა, უფლების დარღვევის რისკი კიდევ უფრო იზრდება, როცა სასამართლო კონტროლი არ არსებობს შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებაზე და ეს პირდაპირ კანონმდებლობითაა

<sup>23</sup>ო. ჯორბენაძე, (2016). წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები. გვ: 45

გათვალისწინებული, კერძოდ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლ ნაწილში არსებობს შემდეგი ჩანაწერი „თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად“ ამიტომ, ამ თავის 2.2 და 2.3 ქვეთავებში განვიხილავთ ამ ნორმატიული ჩანაწერის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენციასთან და საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს.

## 2.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან მიმართებით

სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონმდებელი თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობას საკმარისად მიიჩნევს საგამოძიებო მოქმედების, სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩასატარებლად ამასთანავე, არც გამოძიებლის დადგენილების არსებობაა საჭირო. გამოძიებლისთვის საქმის ამგვარი გამარტივება განპირობებულია იმით, რომ უფლებამოსილი პირი თავადვე აცხადებს უარს „განმარტობაზე“ და ნებას რთავს, რომ შეიზღუდოს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ყველაზე ხშირად და არსებითად, ილახება ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, როგორცაა ჩხრეკა ან/და ამოღება. ასეთ დროს, „პიროვნებისა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა გარანტირებულია იმით, რომ დაწესებულია აუცილებლობა, წინასწარ იქნეს მიღებული სასამართლოს თანხმობა ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარებაზე, ან ამ საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩატარების შემთხვევაში შემდგომ შეამოწმოს სასამართლომ ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერება“<sup>24</sup>, თუმცა განსხვავებულია ვითარება, თანხმობის შემთხვევაში. კანონმდებლის ნება ვფიქრობ, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემდეგ წინადადებაში: „თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად“, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად არ არის საჭირო არც წინასწარი (სანებართვო) განჩინება და არც შემდგომი (შემოწმებითი) განჩინება, რომელიც დააკანონებდა ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას. სამეცნიერო ლიტერატურაშიც

<sup>24</sup>ო.ჯორჯენაძე (2016). წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები (პირველი გამოცემა). გვ:45

აღნიშნულია რომ „ თანხმობის შემთხვევაში სავალდებულო აღარ არის მოსამართლისთვის მიმართვა ჩხრეკა ამოღების კანონიერების შემოწმების მიზნით წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე. ჩხრეკის ან ამოღების კანონიერება შემოწმდება საერთო წესით წინასასამართლო სხდომაზე ან საქმის არსებითად განხილვისას სასამართლოში.“<sup>25</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერებას შეამოწმებს არა მაგისტრალი მოსამართლე გამოძიების ეტაპზე, არამედ წინასასამართლო სხდომაზე საერთო წესით მოხდება მისი, როგორც შესაძლო მტკიცებულების დასაშვებობის განხილვა და თუ აღმოჩნდება, რომ ჩხრეკა ან/და ამოღება ჩატარდა კანონის არსებითი დარღვევით, მაგალითად თუ თანხმობა არ იყო თავისუფალი ნების გამოვლინება ან გამოძიებელი გასცდა იმ ფარგლებს, რომელსაც თანამესაკუთრის/თანამფლობელის/კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა მოიცავდა, ასეთ შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკა ან/ამოღება უკანონოდ იქნება ცნობილი და მის შედეგად ამოღებული ნებისმიერი საგანი/ დოკუმენტი თუ სხვა ობიექტი ვერ მიიღებს „მტკიცებულების“ სტატუსს და შესაბამისად, არ მოხდება არსებითი განხილვის სხდომაზე მისი გამოკვლევა. იმ შემთხვევაში თუ ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება წინასასამართლო სხდომის ეტაპს გადალახავს, ანუ დასაშვებად იქნება ცნობილი, ამ შემთხვევაში მისი, სასამართლოს მიერ გაზიარება/არგაზიარების საკითხი გადაწყდება არსებითი განხილვის დროს. აქედან გამომდინარე, თანხმობის შემთხვევაშიც არ გამოირიცხება სასამართლოს მხრიდან კონტროლი, თუმცა ეს არ მოხდება გამოძიების ეტაპზე დაკანონების გზით.

თანამესაკუთრის/თანამფლობელის/კომუნიკაციის ერთი მხარის „თანხმობა წერილობით უნდა იყოს დაფიქსირებული. თანხმობის გამოთხოვისას გამოძიებელმა უნდა დააკონკრეტოს რაზე ითხოვს თანხმობას თავად და რაზე იძლევა თანხმობას უფლებამოსილი პირი“<sup>26</sup> რათა ზუსტად იყოს განსაზღვრული თანხმობის ფარგლები და გამოძიებელმა თვითნებურად არ გაჩხრიკოს ისეთი ადგილი ან არ ამოიღოს ისეთი ნივთი, რაზეც უფლებამოსილ პირს თანხმობა არ განუცხადებია. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი განჩინების/დადგენილების გარეშე განხორციელებული ასეთი ღონისძიება იქნება უკანონო და მის საფუძველზე ამოღებული ნებისმიერი ნივთი, თუნდაც, დანაშაულთან კავშირის მქონე გახდება დაუშვებელი მტკიცებულება.

თანხმობის წერილობით გაფორმება მეტად მნიშვნელოვანია, რათა შემდგომში თანხმობის არსებობა/არარსებობა სადავო არ გახდეს. ამისთვის საჭიროა, რომ შედგეს შესაბამისი დოკუმენტი, რაც თანხმობის გამცემის ხელმოწერით იქნება დადასტურებული.

თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან (ან სხვა საგამოძიებო მოქმედებასთან) დაკავშირებით

<sup>25</sup> იქვე გვ: 47

<sup>26</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედ. ფაფიაშვილი ლ. 2017. გვ: 358

განსხვავებული პოზიცია აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, კერძოდ, თანხმობის არსებობის მიუხედავად, საბოლოო ინსტანციის სასამართლო მაინც აღგენს გამოძიების ეტაპზე სასამართლოს მხრიდან ასეთი საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემონგების სავალდებულობას, რაც ვფიქრობ, რომ არ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან და შესაბამისად, არ არის განჭვრეტადი რაზვც მიუთითებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების არაერთი გადაწყვეტილება.

მესამე ინსტანციის სასამართლოს პოზიციის განხილვა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იგი წარმოადგენს „დოქტრინალური ტიპის ინსტანციას, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ქვეყანაში ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მსგავს საკითხებზე სამართლებრივად განსხვავებული შედეგი არ დადგეს, ვინაიდან, ეს უპირველეს ყოვლისა, გავლენას მოახდენს საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობაზე“<sup>27</sup> შესაბამისად საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტი არის საერთო სასამართლოებისთვის სახელმძღვანელო, ამიტომ უზენაესი სასამართლოსთითოეული განმარტება, თუ გადაწყვეტილება განსაკუთრებული სიტუაციით და წინდახედულობით უნდა იქნეს მიღებული.

მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში უმნიშვნელოვანესია, მას, როგორც სასამართლოს აქვს ვალდებულება ზუსტად შეასრულოს სამართლის ნორმები, ვინაიდან „კანონის უზენაესობა მოითხოვს, რომ ძირითადი ძალაუფლებები, როგორცაა საკანონმდებლო და სასამართლო ძალაუფლება გამოყოფილი იყოს ერთმანეთისგან.“<sup>28</sup> შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ თავის პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში იმის დადგენა, რომ „თანხმობის არსებობის მიუხედავად, საჭიროა სასამართლოს მხრიდან, ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერების შემონგება,“<sup>29</sup> ამას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანხმობის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს წინასწარი ნებართვის (განჩინების) არსებობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო არ არის. ამასთანავე გემოაღნიშნული შემთხვევა არ განიხილება, როგორც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, როცა საჭიროა სასამართლოს მხრიდან

<sup>27</sup>ქ. მესხიშვილი. ერთიანი განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის არსებობის მიზანშეწონილობა სასამართლო სისტემაში. ურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N 2(33) 2012 წ. გვ: 17

<sup>28</sup>კანონის უზენაესობა სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისათვის. ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰავის ინსტიტუტი (2012) გვ:19

<sup>29</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება №609აპ-15. 3.6 (სამოტივაციო ნაწილი), აღნიშნული გადაწყვეტილება აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

შემდგომი დაკანონება. შესაბამისად, უზენაესი სასამართლო ამგვარი გადაწყვეტილებით კანონშემოქმედის ფუნქციას ითავსებს და ადგენს საერთო სასამართლოებისთვის იმგვარ პრაქტიკას რაც კანონიდან არ გამომდინარეობს და იწვევს მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურებას. მაშინ როცა უზენაესი სასამართლოს მიზანს წარმოადგენს „სამართლის ნორმათა დასაბუთებული განმარტებისა და შეფარდების გზით, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის შექმნით უზრუნველყოს სასამართლო სისტემის სწრაფი და გამართული ფუნქციონირება, სასამართლო სისტემაში საქმეთა გაჭიანურების შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება“<sup>30</sup>. სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ჩხრეკა-ამოღებისთვის განჩინების არ მოთხოვნა ემსახურება სწრაფ მართლმსაჯულებას. „თანხმობის გაცხადებით, პირი ნებაყოფლობით აცხადებს უარს განმარტოების უფლებაზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა გამოძიების ორგანოს ობიექტურად არ აქვს სამართლებრივი საფუძვლი ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად“<sup>31</sup>

იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს და საქართველოს კონსტიტუციას მას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეუძლია შეაჩეროს საქმის განხილვა და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და არა თავად მისცეს ნორმას იმგვარი ინტერპრეტაცია, რაც მისგან არათუ არ გამომდინარეობს, არამედ, წინააღმდეგობაშიც კი მოდის. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოა, ხოლო საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი.

ზემოაღნიშნული არგუმენტაციიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, იმის შესახებ, რომ თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღებისთვის საჭიროა სასამართლოს მხრიდან შემდგომი კონტროლი, რაც გამოიხატება განჩინების გამოცემის გზით მის დაკანონებაში ან უკანონოდ ცნობაში წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ ზემოაღნიშნული სუბიექტების თანხმობა საკმარისია განჩინების გარეშე ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში არ არის საჭირო სასამართლოს მხრიდან არც წინასწარი ნებართვა და არც შემდგომი დაკანონება. შესაბამისად უზენაესი სასამართლო თავისი ამ გადაწყვეტილებით სცდება თავისი კომპეტენციის ფარგლებს და კანონშემოქმედის ფუნქციას ითავსებს.

<sup>30</sup>გზამკვლევი სასამართლო საქმისწარმოებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო (2011 წ.) გვ:10

<sup>31</sup>საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ფაფიაშვილი ლ. 2017. გვ: 456

## 2.2. სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისობა კონსტიტუციის მე-15 მუხლთან

„ქართულ სამართლებრივ სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რიგ საერთაშორისო აქტებთან ერთად, კონსტიტუციის მე-15 მუხლით არის გამყარებული. „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებები ხელშეუხებელია“<sup>32</sup> გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავს საცხოვრებელი ბინისა და სხვა მფლობელობის (ზოგადად პირადი სივრცის) ხელშეუხებლობას. აღნიშნული ნორმის თანახმად: „არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია, მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“ აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლით არ არის პირდაპირ განერილი ამ ნორმით დაცული ყველა სფერო, ვინაიდან, „პირადი ცხოვრების“ ცნება ფართოა და ნორმით მისი სრულად განსაზღვრა შეუძლებელია.

პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რადგან იგი ერთის მხრივ გულისხმობს „ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად, შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება“<sup>33</sup> ხოლო მეორე მხრივ წარმოადგენს „ნეგატიურ დამცავ უფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის განამტკიცებს ინდივიდის ნეგატიურ მდგომარეობას (status negatives) სახელმწიფოს მიმართ, რაც ამ უკანასკნელს ავალდებულებს „თავი შორს დაიჭიროს“ ინდივიდისგან, არ ჩაერიოს ადამიანის ცხოვრების და საქმიანობის სფეროში“<sup>34</sup>

„ბუნებრივია, იმის უგულებელყოფა არ შეიძლება, რომ პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტის ხელყოფისას ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად, თუმცა, ეს გარემოება არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ნებისმიერი ასეთი უფლებრივი კომპონენტის დარღვევით, აუცილებლად ირღვევა კონსტიტუციის მე-

<sup>32</sup> ჯ. უსენაშვილი, (2012). პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას. სამართლის ჟურნალი N2, გვ: 85.

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 454 „ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2008 წლის 19 დეკემბერი II(1) გვ:3 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>

<sup>34</sup> კობახიძე ი./ დემეტრაშვილი ა.. (2014). კონსტიტუციისამართალი (მეორევაგამოცემა).თბილისი: რაიზი. გვ:

15 მუხლი”<sup>35</sup> ვინაიდან, ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მასში ჩარევა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან მის გარეშე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ამგვარი სტანდარტების დაწესება უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურობისთვის, ემსახურება იმას, რომ „აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ჰქონდეს მოქმედების ფართო შესაძლებლობა შეზღუდოს ადამიანის უფლებები იმაზე მეტად ვიდრე ეს რეალურად აუცილებელია. სასამართლო ხელისუფლება აბალანსებს კერძო და საჯარო ინტერესებს და ამ გზით აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობას გამორიცხავს.“<sup>36</sup>

განვიხილოთ შემთხვევა, როცა საქართველოს კონსტიტუცია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე უშვებს მე-15 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას. ეს არის „გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, როცა ჩარევის დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, დაყოვნების შემთხვევაში არსებობს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, აგრეთვე შემთხვევა, როდესაც საქმისთვის საჭირო ინფორმაციის შემცველი ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას. გადაუდებელი აუცილებლობისას ჩარევის ლეგიტიმურობა საჭიროებს post factum (შემდგომ) დადასტურებას სასამართლოს მიერ.“<sup>37</sup>

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, განსაკუთრებით საინტერესოა, კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც იცავს ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას. ეს უფლება „ინდივიდს იცავს მის საცხოვრებელში საჯარო ხელისუფლების როგორც ფიზიკური, ისე არაფიზიკური შეღწევისაგან“<sup>38</sup> სისხლის სამართალწარმოებისას ამ უფლებაში ჩარევის ყველაზე ტიპურ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც „საგამოძიებო ორგანოები შედიან ადამიანის საცხოვრებელში ჩხრევის ჩატარებისა და მტკიცებულებების ამოღების ან „ექვმიტანილის“ ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით. საცხოვრებელი არის ადამიანის მიერ თავისი პირადი ცხოვრების განვითარების ფიზიკური სივრცე, ოჯახური და სხვა სახის ურთიერთობების ადგილი. საცხოვრებელში უნებართვოდ შესვლა სისხლის სამართლის დანაშაულია“<sup>39</sup> აღსანიშნავია, რომ საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებით, დაცულია არა

<sup>35</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 454 „ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2008 წლის 19 დეკემბერი II(1) გვ:4 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>

<sup>36</sup> კონსტიტუციური სარჩელი გიორგი დიასამიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2017 წლის 10 აპრილი. გვ:5 აღნიშნული ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>

<sup>37</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი კომენტარის ავტორი - კობახიძე ი. გვ: 190-191

<sup>38</sup> იქვე გვ: 188

<sup>39</sup> ტრეესელი შ. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში 2009წ. გვ: 578

მხოლოდ უშუალო მესაკუთრე, არამედ „პირი, რომელიც ფაქტობრივად იყენებს კონკრეტულ ქონებას და აქვს ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ არ შეაწუხებენ ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლები და სხვა პირები.“<sup>40</sup>

საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა, ისევე როგორც, კონსტიტუციის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი დასტურის (ნებართვის) არსებობისას ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას, რომლის არსებობას სასამართლო მოგვიანებით ამოწმებს. „მაშასადამე, კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული უფლების ძირითადი არსი გულისხმობს სასამართლო კონტროლის გარეშე უფლებაში ჩარევის აბსოლუტურად გამორიცხვას. ამის საწინააღმდეგოს დაშვება, კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული უფლების არსს აზრს უკარგავს, რადგან სასამართლომ უნდა შეასრულოს მთავარი წინააღმდეგობის ფუნქცია და დაიცვას ადამიანები ხელისუფლების შეცდომის, თვითნებობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან.“<sup>41</sup> აღნიშნულთან წინააღმდეგობაში მოდის სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება: „თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად“ რაც იმას ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ სუბიექტთაგან თუნდაც ერთის თანხმობა საკმარისია სასამართლოს წინასწარი ნებართვის (განჩინების) გარეშე ჩატარდეს ჩხრეკა-ამოღება, ამასთანავე არც შემდგომ დაკანონებას ითხოვს აღნიშნული მუხლი (თუმცა ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა აქვს უზენაეს სასამართლოს, რაზეც მოცემული ნაშრომის წინა თავში იყო საუბარი), რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-15 მუხლთან, რომლის თანახმად სასამართლოს წინასწარი ნებართვის (განჩინების) გარეშე მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკა-ამოღება. ზემოაღნიშნული სუბიექტის თანხმობა კი სსსკ-ის 112-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას არ წარმოადგენს. ამასთანავე შემდგომი დაკანონება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშიც კი კანონმდებლის მოთხოვნაა.

თანხმობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა პრობლემატურია არამხოლოდ იმიტომ, რომ კანონმდებელი არ ითხოვს სასამართლო განჩინების არსებობას, არამედ იმიტომაც, რომ ქონების სხვა თანამესაკუთრის/თანამფლობელის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

პრობლემის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

<sup>40</sup> იქვე გვ: 579

<sup>41</sup> კონსტიტუციური სარჩელი გიორგი დიასამიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2017 წლის 10 აპრილი. გვ:5 აღნიშნული ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>



- 1) როცა მესაკუთრე გაცნობიერებულ და ნებაყოფლობით თანხმობას აძლევს გამოძიების ჩატარებელ პირს, რომ მის საცხოვრებელში ჩატარდეს ჩხრეკა-ამოღება,
- 2) როცა თანამესაკუთრე აცხადებს თანხმობას ჩხრეკა-ამოღების ჩატარებაზე
- 3) როცა ერთ-ერთი თანამესაკუთრე აცხადებს თანხმობას, მეორე კი წინააღმდეგია ჩხრეკა-ამოღების.

პირველი შემთხვევა, ერთი შეხედვით არ არის პრობლემატური ვინაიდან, პირი უარს აცხადებს მისი უფლებით სარგებლობაზე. ის თანახმაა, რომ მის საცხოვრებელში მოხდეს ჩხრეკა-ამოღება და თითქოს ეს შემთხვევა მე-15 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვად არ უნდა განვიხილოთ, ვინაიდან ადგილი არ აქვს ჩარევას, არამედ, საგამოძიებო მოქმედება ტარდება თავისუფალი ნების საფუძველზე. მაგრამ წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, როცა თანხმობის გამცემი მესაკუთრე კი არ სარგებლობს გასაჩხრეკი ქონებით, არამედ მას სხვა მფლობელი ჰყავს, მაგალითად - დამქირავებელი. ვფიქრობ დავის საგანს არ წარმოადგენს ის, რომ ასეთ შემთხვევაში, ჩხრეკის შედეგად უშუალოდ იზღუდება დამქირავებლის პირადი სივრცე და არა მესაკუთრის, თუმცა ამას სსსკ-ის 112-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს.

მეორე შემთხვევა, როცა სახეზეა თანამესაკუთრის/თანამფლობელის ნებაყოფლობითი თანხმობა. 1-ლი მაგალითისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ზუსტად ვიცით, რომ ქონებას **სულ მცირე, ორი მესაკუთრე/მფლობელი** ჰყავს, შესაბამისად, ერთ-ერთი მათგანის თანხმობა ჩხრეკაზე არ ნიშნავს იმას, რომ მეორეც თანახმაა და თუ არ არსებობს სასამართლოს შესაბამისი განჩინება, რომელიც ჩხრეკის უფლებას ანიჭებს გამომძიებელს და არც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა გვაქვს სახეზე მაშინ რატომ უნდა შევზღუდოთ პირის უფლება საცხოვრებლის ხელშეუხებლობაზე, მხოლოდ იმის გამო, რომ მასთან მცხოვრები აცხადებს ამაზე თანხმობას ან უარეს შემთხვევაში, როგორც მესამე მაგალითშია მოყვანილი მეორე თანამესაკუთრე/თანამფლობელი საერთოდ **წინააღმდეგია** ჩხრეკის ჩატარების. ამასთან დაკავშირებით, არსებობს ორი საინტერესო და მხედველობაში მისაღები მოსაზრება: 1) ერთი თანამესაკუთრის/თანამფლობელის თანხმობა ჩატარდეს ჩხრეკა იმ ქონებაზე, რომელზეც მას შესაბამისი უფლებამოსილება აქვს არ შეიძლება იყოს მეორე თანამესაკუთრის/თანამფლობელის უარზე „ძლიერი“ 2) პოლიტიკა უნდა იყოს იმგვარი, რომ ხელი შეუწყოს თანამაცხოვრებლებს შორის მშვიდ და ნდობაზე აგებულ ურთიერთობას, რასაც ამგვარი მიდგომა ნამდვილად ხელს შეუშლის.<sup>42</sup> „შესაბამისად, პრობლემატურია სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების დისპოზიციური შინაარსი, ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში შესაბამისი ნორმით განსაზღვრული პირების მიერ გამოთქმული თანხმობის საფუძველზე იძლევა თუნდაც იმ თანამესაკუთრის ქონების გაჩხრეკის შესაძლებლობას, რომელსაც არ

<sup>42</sup>Sharon E. Abrams – Third-Party Consent Searches, the Supreme Court and the Fourth Amendment. Journal of Criminal Law and Criminology. Volume 75, issue 3, Article 21 (1984) გვ:973

გამოუთქვამს თანხმობა ჩხრეკაზე“<sup>43</sup> ან მითუმეტეს, როცა ეს უკანასკნელი ჩხრეკის წინააღმდეგია.

უმჯობესი იქნება, თუ სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება იქნება ამოღებული. რითაც თავიდან იქნება აცილებული პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში უსაფუძვლო ჩარევა.

### 2.3 სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამ ნორმით დაცული სფერო, კონვენციის სხვა მუხლებთან შედარებით, საკმაოდ ფართოა და ღრთა განმავლობაში, სასამართლო პრაქტიკით, კიდევ უფრო ფართოვდება. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდება საცხოვრისის დაცულობის უფლებაზე, რომელსაც ასევე მოიცავს კონვენციის მე-8 მუხლი. „საცხოვრებლის ცნებას აქვს ავტონომიური მნიშვნელობა და ჩაითვლება, თუ არა გარკვეული ადგილი „საცხოვრებლად“ კონვენციის მიზნებისთვის, უნდა განისაზღვროს კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად.“<sup>44</sup> „საცხოვრებელი არის კერძო ადგილი, სადაც ადამიანს აქვს „მარტო ყოფნის“, პრივატულობის მოლოდინი.“<sup>45</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, საცხოვრებელი გულისხმობს, არა მხოლოდ, ისეთ ადგილს, სადაც ადამიანი მუდმივად ცხოვრობს და არც ქონებასთან მისი უფლებრივი მდგომარეობა განმსაზღვრელი (მესაკუთრეა თუ არა). იმისთვის, რომ კონვენციის მოქმედების ფარგლებში მოექცეს, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განმსაზღვრელია პირის დამოკიდებულება ქონებისადმი და მისი, როგორც პირადი სივრცის აღქმა, სადაც იგი დაცულია გარეშე პირების უსაფუძვლო და უნებართვო შეჭრისაგან. შესაბამისად, „საცხოვრებლის დეფინიცია მოიცავს ასევე: სასტუმროს, სადაც პირი ცხოვრობს, ნაქირავებ ფართს, ბიზნესშენობებს, ღროებით საცხოვრებელ ადგილს და საკანსაც კი“<sup>46</sup>

იმისთვის, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევამ არ გამოიწვიოს მე-8 მუხლის დარღვევა, საჭიროა რამდენიმე ეტაპის გავლა. პირველ ეტაპზე უნდა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა

<sup>43</sup>ლურსმანაშვილი ლ. ბაძალაუა ი. (2018) თანამესაკუთრის (თანამფლობელის) თანხმობის საფუძველზე ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების პრობლემატიკა სისხლის საპროცესო სამართალში (უპირატესად ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტების საფუძველზე. სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები N9 გვ:77

<sup>44</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლო, USAID-ის და EU4J-ს მხარდაჭერით - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები (2017 წელი) გვ:181

<sup>45</sup> ოქრუაშვილი მ. - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თავისუფლების ინსტიტუტი (2005 წელი) გვ:55

<sup>46</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლო, USAID-ის და EU4J-ს მხარდაჭერით - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები (2017 წელი) გვ:182

კონკრეტული ქმედებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას ადგილი. ამის შემდეგ, უნდა გაირკვეს ჩარევა განხორციელდა თუ არა კანონის შესაბამისად, ანუ ეროვნული კანონმდებლობა, თუ უშვებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. შემდეგი ეტაპი არის ლეგიტიმური მიზნის არსებობა, რაც განსაზღვრულია კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით: *დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.*

„სამართლიანად არის აღნიშნული, რომ არცერთი ზემოაღნიშნული მიზანი სინამდვილეში არ შეესაბამება სისხლის სამართალწარმოების საჭიროებებს, რომლებიც მინიმუმ დაუყოვნებლივ არ არის მიმართული წესრიგის დარღვევის თავიდან აცილებისკენ“<sup>47</sup>

„კანონიერებისა და ლეგიტიმური მიზნის ელემენტები თუ ნაწილობრივ მაინც ექვემდებარება აბსტრაქტულ მიმოხილვას, პროპორციულობის მოთხოვნა, რომელიც გამოხატულია სიტყვებით „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მხოლოდ კონკრეტული ჩარევის კონტექსტში უნდა შეფასდეს. სასამართლომ ამასთანავე სახელმძღვანელო წესების სახით დააზუსტა შემდეგი ძირითადი პრინციპები: „აუცილებელი“ ნიშნავს იმაზე ნაკლებს, ვიდრე, „მკაცრად აუცილებელი“ და იმაზე მეტს ვიდრე „სასარგებლო“ ან სასურველი.“<sup>48</sup> შესაბამისად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მიზნებისთვის, მხოლოდ „კეთილი განზრახვის“ არსებობა საკმარისად არ მიიჩნევა. ჩარევის კანონიერად მიჩნევისთვის საჭიროა სახელმწიფომ დაასაბუთოს „გადაუღებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობა, ამიტომ „მხოლოდ საერთო ინტერესების არსებობა ვერ გახდის გატარებულ ღონისძიებებს, თუ პროცედურებს მკაცრად აუცილებელს“<sup>49</sup> საჭიროა, დაცული იყოს სამართლიანი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

საცხოვრებელში ან სხვა კერძო საკუთრებაში ჩატარებულმა ჩხრეკა-ამოღებამ შეიძლება ხელყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. „საქმეზე „ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: ხელისუფლების ორგანოებმა შეიძლება საჭიროდ მიიჩნიონ ისეთი ღონისძიებების

<sup>47</sup> ტრეესელი შ. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. (2009 წ.) გვ:561

<sup>48</sup> ტრეესელი შ. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. (2009 წ.) გვ:561-562

<sup>49</sup> შარაშიძე მ. -- საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების

კონსტიტუციურსამართლებრივი ანალიზი, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. რედ. კონსტანტინე კორკელია (2014 წელი) გვ:221

გატარება, როგორცაა საცხოვრებლის ჩხრეკა და ამოღება, რათა მოიპოვონ სამართალდარღვევათა მტკიცებულებები და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელონ ამ პასუხისმგებელ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად ამისა, შესაბამისმა კანონმდებლობამ და პრაქტიკამ უნდა უზრუნველყოს ადექვატური და ეფექტიანი გარანტიები თვითნებობის წინააღმდეგ.<sup>50</sup>

სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად: „თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად“ შესაბამისად, საქ-ოს კანონმდებლობა ერთი სუბიექტის თანხმობასაც მიიჩნევს საკმარისად ჩხრეკის ჩასატარებლად, მაშინ როცა შეიძლება ქონებას არაერთი მესაკუთრე/მფლობელი ჰყავდეს. ამგვარი ჩანაწერი ამარტივებს საგამოძიებო ორგანოების საქმეს, რითაც ზრდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უსაფუძვლოდ ხელყოფის რისკს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იმისთვის, რომ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა იყოს კანონშესაბამისი საჭიროა შემდეგი ელემენტების დადგენა: 1) რამდენად ჰქონდა ადგილი მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას ადგილი 2) კანონიერება 3) ლეგიტიმური მიზნის არსებობა 4) პროპორციულობა. შევაფასოთ სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილი თუ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ 4 კრიტერიუმს, თუ წარმოვიდგენთ შემდეგ შემთხვევას: გამოძიება მიმდინარეობს კონკრეტული დანაშაულის (მაგ: ქურდობის) ფაქტზე. საქმეზე მტკიცებულებების მოსაპოვებლად გამომძიებელი საჭიროდ მიიჩნევს საცხოვრებელში, რომელშიც მისი აზრით ამ ქურდობის ჩამდენი პირი ცხოვრობს, ჩხრეკის ჩატარებას, თუმცა, გამომძიებელს არა აქვს არავითარი მტკიცებულება, რომელიც დააკმაყოფილებდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. შესაბამისად, ბრალდების მხარეს არა აქვს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს ჩხრეკის ჩასატარებლად საჭირო ნებართვის- განჩინების გამოცემის მოთხოვნით და არც გადაუდებელი აუცილებლობის რაიმე შემთხვევაა, რომ გამომძიებელს შეეძლოს განჩინების გარეშე ჩატაროს ჩხრეკა, ამიტომ სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, გამოძიების ჩამტარებელი მიდის კონკრეტულ საცხოვრებელში, სადაც, მისი აზრით ცხოვრობს პოტენციური ბრალდებული. ადგილზე მას ხვდება ეს უკანასკნელი და მისი მეუღლე. ორივე ამ ქონების თანამესაკუთრეა. გამომძიებელი განუმარტავს, რომ მას სურს ჩხრეკის ჩატარება, რაზეც მეუღლე აცხადებს თანხმობას, ხოლო პოტენციური ბრალდებული ამის წინააღმდეგია. გამომძიებელი, ერთ-ერთი თანამესაკუთრის პოზიციის მიუხედავად, მაინც ატარებს ჩხრეკას, რაც სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე კანონიერია. შევაფასოთ ეს შემთხვევა კონვენციის მე-8 მუხლთან

<sup>50</sup>პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები. საქართველოს უზენაესი სასამართლო, USAID-ის და EU4J-ს მხარდაჭერით (2017 წელი) გვ:190-191

შესაბამისობის კუთხით. საცხოვრებელში ჩხრეკის ჩატარების გამო, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლში ჩარევას. რამდენად კანონიერი იყო ამგვარი ჩარევა, ანუ ითვალისწინებს, თუ არა, ეროვნული კანონმდებლობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის შესაძლებლობას? საქართველოს უზენაესი კანონი და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც ითვალისწინებს ამის შესაძლებლობას. ჩარევის კანონიერებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა ლეგიტიმური მიზნის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენის და მისი პასუხისმგებლობის მიცემის მიზნებს, რაც შეესაბამება კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. თუმცა, რაც შეეხება ბოლო ელემენტს, „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რამდენად პროპორციული იყო ჩხრეკის ჩატარება იმ ლეგიტიმური მიზნის, რომელსაც იგი ემსახურებოდა? როგორც ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში იყო აღნიშნული გამოძიებელს არ ჰქონდა არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, ის მოქმედებდა მხოლოდ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე და რომ არა თანამესაკუთრის თანხმობა, ის ჩხრეკას საერთოდ ვერ ჩაატარებდა, ვიდრე არ ექნებოდა დასაბუთებული ვარაუდი ჩხრეკის ჩასატარებლად საჭირო განჩინების მისაღებად. შესაბამისად, „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არ არსებობდა და ჩხრეკა მხოლოდ იმიტომ ჩატარდა, რომ თანამესაკუთრემ უარი თქვა ესარგებლა კონსტიტუციით დაცული უფლებით. ამასთანავე, საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ მეორე თანამესაკუთრე წინააღმდეგი იყო ჩხრეკის, ანუ, სურდა ესარგებლა თავისი კანონიერი უფლებით. სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, უფლებამოსილი პირის უარს არავითარი ძალა არა აქვს თუ მასთან მცხოვრები თანხმობას განაცხადებს.

შესაბამისად, ვფიქრობ, რომ სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება არათანაბარზომიერ მდგომარეობაში აყენებს კერძო პირებსა და სახელმწიფოს ინტერესებს და არაპროპორციულია იმ ლეგიტიმური მიზნის, რომელსაც ემსახურება. ამიტომ, ქმნის რეალურ საფრთხეს, იმისა, რომ დაირღვევა კონვენციის მე-8 მუხლი.

### III თავი

#### აშშ-ის კონსტიტუცია და სასამართლო გამოცდილება თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან მიმართებით

თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციის (იგულისხმება სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი პუნქტი)

კონსტიტუციურობის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხის განხილვის შემდეგ, საინტერესოა, როგორია სხვა ქვეყნების მიდგომა ამასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, ნაშრომის აღნიშნული თავი დაეთმო იმას, თუ როგორ იცავს აშშ-ის უზენაესი კანონი პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას უკანონო ჩხრეკა-ამოღებისგან, რა მიიჩნევა აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორებით დაცულ „პირად სივრცედ“, ასევე წარმოდგენილი იქნება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს საინტერესო გადაწყვეტილებები თანხმობით (ძირითადად მესამე პირის თანხმობით) ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილებების არაერთგვაროვნება ნათელს გახდის, რომ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პოზიცია თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით იცვლება დროთა განმავლობაში. მისასალმებელი იქნება, თუ აშშ-ს ამ გადაწყვეტილებების ნაწილი, მათი სანიმუშო დასაბუთების გათვალისწინებით, გავლენას იქონიებს ქართულ მართლმსაჯულებაზე და ხელს შეუწყობს არსებული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრას.

### 3.1 აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორება

აშშ-ში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, უფლებათა იერარქიის ზედა ნაწილშია განთავსებული. „თუ სახელმწიფოს ან ინდივიდის გარკვეული ქმედებები საზოგადოებისთვის სასარგებლოა, ისინი მაინც შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს, რადგან ამით ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება, თუმცა რათქმაუნდა ეს არ არის აბსოლუტური უფლება.“<sup>51</sup> საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს, ზემოაღნიშნული უფლების ხელყოფის ყველაზე დიდი რისკი დაკავშირებულია ჩხრეკა-ამოღებასთან.

აშშ-ში უსაფუძვლო ჩხრეკა-ამოღების ამკრძალავ მთავარ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს უზენაესი კანონი - კონსტიტუცია. აშშ-ს კონსტიტუციის მე-4 შესწორება ადგენს პოლიციისთვის: დაკავების, ჩხრეკის (როგორც პირადი ასევე ქონების) და ამოღების ფარგლებს. სწორედ ეს ფარგლები არის საფუძველი ჩხრეკა ამოღების კანონიერად ჩატარების. მე-4 შესწორება - საკუთრების უფლების დაცვა, შეიცავს ამ ჩანაწერს:

*„არ უნდა შეილახოს უმიზეზო ჩხრეკითა და დაპატიმრებით ადამიანის უფლება მისი პიროვნების, საცხოვრებლის, ქალაქებისა და ქონების ხელშეუხებლობაზე და არცერთი ორდერი არ შეიძლება გაიცეს საფუძველიანი მიზეზის გარეშე, რომელიც განმტკიცებული უნდა იყოს ფიციით ან საზეიმო დაპირებით, აგრეთვე მას თან უნდა ახლდეს იმ ადგილების,*

<sup>51</sup>მ. ოქრუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თავისუფლების ინსტიტუტი 2005 წ. გვ: 23

პიროვნებებისა და საგნების დეტალური აღწერილობა, რომლებიც ჩხრეკასა და დაპატიმრებას ექვემდებარებიან“

მიუხედავად იმისა, რომ მე-4 შესწორების სახელწოდებაა - საკუთრების დაცვა, „აშშ-ის უზენაესი სასამართლო აღიარებს, რომ ამ შესწორებით დაცული მთავარი ობიექტია არა საკუთრება, არამედ უპირველეს ყოვლისა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“<sup>52</sup>

მე-4 შესწორების მოთხოვნიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ ჩხრეკა-ამოღება იყოს კანონიერი საჭიროა ის იყოს საფუძვლიანი. ჩხრეკაზე ნებართვა გაიცემა მიუკერძოებელი მაგისტრეტი მოსამართლის მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ სახეზეა „საკმარისი საფუძველი“, თუმცა, ამ ტერმინს არ განმარტავს კონსტიტუციის მე-4 შესწორება და არც სხვა რაიმე ნორმატიული აქტი. „საკმარისი საფუძვლის“ არსებობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლემ უნდა შეაფასოს ნებართვის მომთხოვნი მხარის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ჩხრეკა-ამოღება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ არსებული ვითარება გამორიცხავდა სასამართლოსთვის ნებართვის მისაღებად მიმართვის შესაძლებლობას და საჭირო იყო მყისიერი მოქმედება. თუმცა, არის შემთხვევები, როცა გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე ჩატარდა ჩხრეკა და სასამართლომ მაინც მიიჩნია ის კანონიერად. ასეთი შემთხვევაა მაგალითად, „როცა პირი ნებაყოფლობით და გაცნობიერებულ თანხმობას აცხადებს ჩხრეკა-ამოღებაზე. ეს შემთხვევა წარმოადგენს გამონაკლისს აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორებიდან. ასეთი გამონაკლისები არ შეიძლება შეიქმნას ყოველთვის, როცა ეს ამარტივებს გამოძიების საქმიანობას, ვინაიდან, მე-4 შესწორების შემქმნელების მთავარი მიზანი იყო სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ადამიანების პირად ცხოვრებაში თავისუფლად შეჭრის უფლება შეეზღუდათ.“<sup>53</sup>

„მე-4 შესწორება ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირს აქვს „ლეგიტიმური მოლოდინი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა“ იმ ნივთების თუ ობიექტების მიმართ, რომელთაც უტარდებათ ჩხრეკა-ამოღება. სასამართლოს, იმის შესამოწმებლად, ჰქონდა თუ არა პირს ლეგიტიმური მოლოდინი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, იყენებს ორი სახის ტესტს: 1) ჰქონდა თუ არა პირს მოლოდინი იმისა, რომ პირად სივრცეში იმყოფებოდა 2) იყო ეს მოლოდინი ობიექტურად საფუძვლიანი?. მაგალითად სასტუმროში დასვენების დროს, პირს მოლოდინი აქვს, რომ ის იმყოფება პირად სივრცეში, პირი, რომელიც იმყოფება მის მიერ ნაქირავებ ბინაში, მასაც პრივატულობის მოლოდინი აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შესაბამისად, მოცემულ შემთხვევებში ჩხრეკა-

<sup>52</sup>Fourth Amendment/Search and Seizure. Authenticated U.S. Government information GPO. (1992) გვ: 1206

<sup>53</sup>Sharon E. Abrams – Third-Party Consent Searches, the Supreme Court and the Fourth Amendment. Journal of Criminal Law and Criminology. Volume 75, issue 3, Article 21 (1984) გვ 987

ამოღებაზე ვრცელდება აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორება.<sup>54</sup> მაგრამ იმ შემთხვევაში როდესაც „გამომძიებელი ათვალთვრებს ნაგვის ურნას, სკვერში სკამზე დატოვებულ საქალაქდღეს - მესაკუთრეს არ გააჩნია განმარტოების და ნაგვის/საქალაქდღის ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი, თუნდაც თავად მესაკუთრე სუბიექტურად ვარაუდობდეს, რომ მას კვლავაც გააჩნია. ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს კერძო საკუთრებაში ჩარევას და შესაბამისად, ჩხრეკას“<sup>55</sup> ამიტომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორება.

მე-4 შესწორებასთან მიმართებით, საინტერესოა საქმე Katz v. United States. მოცემულ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „მე-4 შესწორებით არ არის დაცული ისეთი საკუთრება, რაც საჯარო გახდა პირმა, თუნდაც მის საკუთარ სახლში იყოს იგი განთავსებული. ხოლო პირიქით, როცა ქონება გახდა საჯარო და პირი მიიჩნევს მას თავის საკუთრებად, ეს დაცულია კონსტიტუციით, მაგალითად მაღაზია, როგორც აღნიშნულ საქმეში.“<sup>56</sup> მაღაზიაში შესვლა ნებისმიერ პირს შეუძლია წინასწარი ნებართვის გარეშე, სასურველი პროდუქტის თუ საგნის შესაძენად (ამიტომაც საჯარო), თუმცა, ჩხრეკა-ამოღების საჭიროება თუ შეიქმნება, ეს ობიექტი, როგორც ყველა საკუთრება დაცულია აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორებით. შესაბამისად, კონსტიტუციის მე-4 შესწორება ვრცელდება, თუ არა კონკრეტულ ქონებაზე, დამოკიდებულია, არა მის ადგილმდებარეობაზე (სახლშია განთავსებული თუ ქუჩაში) არამედ, რამდენად აქვს პირს გონივრული მოლოდინი, იმისა, რომ მისი ქონება დაცულია სახელმწიფოს უკანონო ჩარევისგან. თუმცა, საყურადღებოა ისიც, რომ რაც პირს სუბიექტურად მიაჩნია მის პირადად, ობიექტურად შეიძლება ასე არც იყოს. ამიტომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეათვასოს, რამდენად „გონივრული“ იყო პირის მოლოდინი მის ქონებასთან მიმართებით.

### 3.2 აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებაზე

როგორც უკვე აღინიშნა მოცემულ ნაშრომში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობას (მხოლოდ ერთი სუბიექტისაც) საკმარისად მიიჩნევს ჩხრეკა-ამოღების, განჩინების გარეშე ჩასატარებლად, რითაც ხდება უგულებელყოფა სხვა

<sup>54</sup> Understanding Search and Seizure Law (article), NOLO, Criminal Defence-attorney\*s website <https://www.nolo.com/legal-encyclopedia/search-seizure-criminal-law-30183.html> (ბოლო ნახვა განხორციელდა 29.05.19)

<sup>55</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. რედ. ლ. ფაფიაშვილი (2017) გვ: 418

<sup>56</sup> Katz v. United States (1967) გვ:351 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/389/347/>



თანამაცხოვრებლის (შესაძლოა ბრალდებულის კი იყოს) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების, რომელსაც თანხმობა არ განუცხადებია ან უფრო მეტიც წინააღმდეგია ამ საგამოძიებო მოქმედების შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ამგვარი მიდგომა წარმოადგენს მნიშვნელოვან დარღვევას. აღნიშნული პრობლემის არსებობას და აქტუალობას ნათელყოფს, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები, რომლებიდანაც ჩანს, რომ სასამართლოს მიდგომა იცვლება და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობაში მოდის.

მოცემულ თავში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იქნება განხილული აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით.

**Amos v. United States (1921)**- ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ფედერალური ოფიცრები მივიდნენ ბრალდებულის სახლში, სადაც მათ დახვდათ მისი მეუღლე, რომელსაც განუმარტეს, რომ ჩხრეკის ჩასატარებლად იყვნენ მოსული, დანაშაულის გამოძიების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ოფიცრებს არ ჰქონდათ ნებართვა, მეუღლე მაინც დათანხმდა ჩხრეკის ჩატარებაზე. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა მოპარული ვისკი. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულმა ჩხრეკამ დაარღვია Amos კონსტიტუციის მე-4 შესწორებით დაცული უფლება, რადგან პოლიციის ოფიცრებს არ ჰქონდათ ნებართვა და მეუღლის თანხმობა ჩხრეკაზე არ გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული უარს ამბობს მის კონსტიტუციით დაცულ უფლებაზე, არ ჩატარდეს უსაფუძვლო ჩხრეკა-ამოღება.<sup>57</sup>

მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 1946 წელს, საქმეზე **Davis v. United States**. „ბრალდებული Davis-ი იყო ბენზინგასამართი სადგურის მფლობელი და ბრალად ედებოდა შავ ბაზარზე ბენზინის მოპოვება შესაბამისი შტამპის გარეშე. ბრალდებულს პოლიციის ოფიცრებმა მოსთხოვეს იმ ოთახის გასაღები სადაც ინახებოდა გაზის კუპონები. თავდაპირველად Davis-მა უარი თქვა, თუმცა, როგორც სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა მან შემდგომში თანხმობა განაცხადა, ვინაიდან პოლიციელები მას დაემუქრნენ, რომ თუ არ მისცემდა გასაღებს, კარს ჩამოიღებდნენ, აღნიშნულს თავად პოლიციელები უარყოფდნენ. ჩხრეკის შედეგად ამოღებული კუპონები ბრალდებულის წინააღმდეგ იქნა სასამართლოში გამოყენებული ქვედა ინსტანციის სასამართლო ენდო პოლიციის ჩვენებას და მიიჩნია, რომ ბრალდებულმა თავად განაცხადა თანხმობა ჩხრეკა-ამოღების ჩატარებაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ჩხრეკა-ამოღება ჩატარდა ბიზნესის სფეროში და არა საცხოვრებელში და ამოღებული იქნა საჯარო სამართლებრივი დოკუმენტები (რომლებიც არ წარმოადგენს საკუთრებას) და არა პირადი დოკუმენტები, შესაბამისად,

<sup>57</sup>Amos v. United States . (1921) გვ: 314-317 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე - <https://supreme.justia.com/cases/federal/us/255/313/>

თანხმობის ვალიდურობის შემოწმების მკაცრი ტესტი ამ შემთხვევაში არ ვრცელდება<sup>58</sup> „სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საყურადღებოა, ვინაიდან ერთმანეთისგან გამიჯნა ნებართვის გარეშე ოფისში და სახლში ჩატარებული ჩხრეკის გონივრულობა.“<sup>59</sup>

მესამე პირის თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე **Chapman v. United States**, რომლის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბრალდებულის მიერ ნაქირავები ქონების მესაკუთრემ უთხრა პოლიციელებს, რომ შესულიყვნენ ბრალდებულის სახლში, მას შემდეგ, რაც მათ იგრძნეს ვისკის მძაფრი სუნი, რომელიც სახლიდან გამოდიოდა. სახლში შესვლის შემდეგ აღმოაჩინეს სასმელის სახდელი და 1300 გალონი ალათ საძინებელ ოთახში.. სანგავის და კონტეინერების გარდა, სახლში არაფერი არ იყო. ჩხრეკის კანონიერების დასასაბუთებლად, მხარე ეყრდნობოდა იმ არგუმენტს, რომ მესაკუთრის თანხმობა ჰქონდათ, რაც სასამართლომ უარყო, რადგან ამაზე დათანხმება (მიღება) გამოიწვევდა კონსტიტუციის მეოთხე შესწორების არაფრად ქცევას და გახდიდა მდგმურების უფლებებს დაცულად ქონების მესაკუთრის დისკრეციის ფარგლებში“<sup>60</sup> ანუ მესაკუთრის ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული კონსტიტუციის მეოთხე შესწორებით გათვალისწინებული უფლებები მდგმურების მიმართ დაცული იქნებოდა თუ არა, რაც, რათქმაუნდა ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში, აშკარად შეუსაბამოა.

1969 წელს იქნა მიღებული კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება საქმეზე **Frazier v. Cupp**. საქმის გარემოებების თანახმად, „გამოძიება მიმდინარეობდა მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით. Frazier-ის და მისი ბიძაშვილი Rawls-ის მიმართ. პოლიციამ დააკავა ეს უკანასკნელი (Rawls) და მოსთხოვა თანხმობა ჩანთის ჩხრეკაზე, რომელიც ეკუთვნოდა Frazier-ს, თუმცა ორივე მათგანი სარგებლობდა ამ ჩანთით და იმ მომენტში Rawls-ის საძინებელში იყო ეს ჩანთა. ამ ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა, როგორც Rawls-ის ასევე Frazier-ის ტანსაცმელი, რასაც ეს უკანასკნელი აპროტესტებდა და ამბობდა, რომ Rawls ჩანთის მხოლოდ ერთ ნაწილზე შეეძლო თანხმობის გაცემა და არა სხვაზე, თუმცა სასამართლომ ეს საკითხი გადაწყვიტა მარტივად და თქვა, რომ ვინაიდან Frazier-მა დართო ნება თავის ბიძაშვილს, რომ მას ესარგებლა ამ ჩანთით და დატოვა კიდევ მის სახლში ამიტომ Frazier-ს უნდა დაეშვა/ეგარაუდა, რომ Rawls პოლიციას ჩხრეკის უფლებას მისცემდა.“<sup>61</sup>

<sup>58</sup>Davis v. united states (1946) გვ:583-588 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/328/582/>

<sup>59</sup> Tracey Maclin - The good and bad news about consent searches in the supreme court. Boston University school of law. 2008 გვ: 13

<sup>60</sup> Chapman v. united states (1961) გვ: 612. 617 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/365/610/>

<sup>61</sup> Frazier v. cup (1969) გვ: 740 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/394/731/>

**Schneckloth v. Bustamonte** (1973) ამ საქმეზე „პოლიციის მიერ გაჩერებული იქნა სატრანსპორტო საშუალება მოძრაობის წესის დარღვევის გამო. პოლიციის ოფიცერმა ერთ-ერთ მგზავრს, რომლის ძმის საკუთრებაც იყო ეს ავტომანქანა სთხოვა ჩხრეკის ნებართვა, რაზეც თანხმობა მიიღო. ჩხრეკის შედეგად ავტომობილის საბარგულში სამრეცხაოდან მოპარული სამი ჩეკი იპოვა, რომელიც შემდგომში გახდა Bustamonte-ს ბრალდების საფუძველი. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მოცემულ საქმეზე განმარტა, რომ საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ თანხმობა იძულების გარეშე გაიცა, არამედ პროკურორს უნდა დაემტკიცებინა, რომ მგზავრებს განემარტათ თანხმობის გაცემაზე უარის თქმის უფლებაც. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განსხვავებული განმარტება გააკეთა და აღნიშნა რომ თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ თანხმობის გამცემმა იცოდეს უარის თქმის უფლების შესახებ. სასამართლომ მიუთითა კონსტიტუციის მე-4 შესწორებაზე უსაფუძვლო ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით, რომელიც არ მოითხოვს, რომ პირმა იცოდეს იმის შესახებ, რომ შეუძლია არ გამოიყენოს კონსტიტუციური უფლებები“<sup>62</sup>

**Matlock v. United States** (1974) საქმის გარემოებების თანახმად, „ყაჩაღობაში ბრალდებული Matlock-ი დააკავეს თავისი საცხოვრებლის ეზოში. მისთვის არ უკითხავთ რომელ ოთახს იკავებდა სახლში და სად შეეძლო პოლიციას ჩხრეკის ჩატარება. გამოძიების ჩამტარებელმა ჩხრეკაზე თანხმობა მიიღო ქალისგან, რომლის მშობლებმა მიაქირავეს Matlock-ს ეს ოთახი და ეს ქალი მასთან (Matlock) ერთად ცხოვრობდა.“<sup>63</sup> მოცემულ საქმეზე პოლიციელებს შეეძლოთ ადგილზე მყოფი Matlock-სგან მიეღოთ უარი თანხმობა ჩხრეკის ჩატარებაზე, თუმცა ამის მიუხედავად, ნებართვისთვის მიმართეს მასთან მცხოვრებ ქალს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მაინც ვალიდურად ჩათვალა ჩხრეკა-ამოღებაანუ ირელეგანტურად მიიჩნია, როგორც ბრალდებულის ადგილზე ყოფნა ასევე მისი პოზიცია თანხმობის გაცემა-არგაცემასთან დაკავშირებით აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ თავისი ეს გადაწყვეტილება შემდეგნაირად განმარტა „მესამე პირის თანხმობის ვალიდურობა დამოკიდებულია მის კავშირზე, უფლებამოსილებაზე გასაჩხრეკი ქონების მიმართ და ბრალდებულის უარი ჩხრეკის ჩატარებაზე გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირის კავშირზე ამ ქონებასთან და შესაბამისად, მისი თანხმობის ვალიდურობაზე“<sup>64</sup> რაც მნიშვნელოვანი შეცდომაა, რადგან სხვა თანამესაკუთრეს/თანამფლობელს (რომელსაც თანხმობა არ გაუცია) ეკარგება მოლოდინი მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფასეულობასთან დაკავშირებით,

<sup>62</sup>Schneckloth v. Bustamonte (1973) გვ: 219, 222-223 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/412/218/#tab-opinion-1950309>

<sup>63</sup> Matlock v. United States (1974) გვ:164 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/415/164/#tab-opinion-1950657>

<sup>64</sup>Sharon E. Abrams – Third-Party Consent Searches, the Supreme Court and the Fourth Amendment. Journal of Criminal Law and Criminology. Volume 75, issue 3, Article 21 (1984) გვ: 976

რადგან მის თანამაცხოვრებელს ნებისმიერ დროს შეუძლია თანხმობა მისცეს პოლიციას მისი ნებისგან დამოუკიდებლად.

Matlock v. United States-ის საქმის შემდეგ ფლორიდის უზენაესმა სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საქმეზე *Silva v. State* (1977), რომლის თანახმადაც, მესამე პირის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა, მაშინ, როცა ერთი თანამესაკუთრე/თანამფლობელი არ იყო თანახმა, მიიჩნია დაუშვებლად და განმარტა, რომ „პირის უფლება, რომლის საკუთრებასაც ჩხრეკენ არის მისი, პერსონალური, და დაცულია აშშ-ის კონსტიტუციით და ასეთი უფლებები არ უნდა იყოს უგულებელყოფილი მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთრება თანაზიარია.“<sup>65</sup> ამასთანავე ფლორიდის სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა შემთხვევა, როცა თანამესაკუთრე ადგილზე იმყოფება და მეორე შემთხვევა, როცა იგი ხელმძღვანელია პოლიციისთვის. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში წარმოიშობა სხვა პრობლემა „ადგილზე არმყოფ ბრალდებულს ერთმევა შესაძლებლობა არავალიდური გახადოს (უარის თქმით) ჩხრეკა-ამოღება. ამგვარი მიდგომა ნიშნავს იმას, რომ პირის კონსტიტუციური უფლება იმაზე, რომ არ მოხდეს უსაფუძვლო ჩხრეკა მის საკუთრებაში წყდება მაშინ, როდესაც იგი იმყოფება სახლის გარეთ, ქუჩაში, რაც რათქმუნდაა აბსურდია.“<sup>66</sup> შეიძლება ამასთან დაკავშირებით არსებობდეს მოსაზრება, რომ ადგილზე არმყოფი ბრალდებულის მიმართ მოქმედებს პრეზუმფცია იმის შესახებ, რომ იგი უარს არ იტყვის ჩხრეკის ჩატარებაზე, თუმცა ამგვარი მოსაზრება ალოგიკურია, ვინ შეიძლება იყოს იმაზე მეტად წინააღმდეგი ჩხრეკის ჩატარებაზე ვიდრე ბრალდებული, რომელიც გასაჩხრეკ ადგილას ინახავს თავისი თავის მამხილებელ მტკიცებულებებს.

ბოლო წლებში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით მიიღო ასევე საინტერესო გადაწყვეტილებები. ერთ-ერთი მათგანია- *Georgia v. Randolph* 2006 წლის საქმე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, რენდოლფის მეუღლემ გამოიძახა პოლიცია და აუხსნა მათ, რომ მისი მეუღლე იყენებდა კოკაინს და პოლიციის თხოვნაზე, ჩხრეკა ჩაეტარებინა სახლში, განაცხადა თანხმობა. თვითონ რენდოლფი ადგილზე იმყოფებოდა და უარი განაცხადა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, რაზეც სასამართლო დაეთანხმა ამ უკანასკნელს და განაცხადა, რომ „მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, საერთო საკუთრების სასამართლო განჩინების გარეშე გაჩხრეკა „ფიზიკურად ადგილზე მყოფი“ პირის

<sup>65</sup>Silva v. State (1977) გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აქ <https://law.justia.com/cases/florida/supreme-court/1977/49094-0.html>

<sup>66</sup>Sharon E. Abrams – Third-Party Consent Searches, the Supreme Court and the Fourth Amendment. Journal of Criminal Law and Criminology. Volume 75, issue 3, Article 21 (1984) გვ:977

თანხმობის გარეშე, რომლის მიმართაც უნდა ჩატარებულიყო ჩხრეკა უკანონოა, მიუხედავად მეორე მხარის თანხმობისა.<sup>67</sup>

Georgia v. Randolph-ის საქმის შემდეგ კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ მსგავს საქმეზე განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო. ეს ეხება საქმეს **Fernandez v. California** (2014). მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, Fernandez-ს ბრალად ედებოდა ადამიანის დაჭრა. მის საცხოვრებელთან მისულმა პოლიციის ოფიცრებმა სახლიდან ყვირილის ხმა გაიგონეს. კარი მათ ბრალდებულის მეუღლემ გაუღო, რომელიც ტიროდა და ძალადობის აშკარა კვალი აღენიშნებოდა სახეზე და ხელეებზე. ვინაიდან არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ ცოლზე Fernandez-მა იძალადა იგი დააკავეს, თუმცა დაკავებამდე ამ უკანასკნელმა პოლიციას განუცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ მის სახლში შემოსვლის უფლება. დაკავების და სახლიდან გაყვანის შემდეგ, ჩხრეკაზე ნებართვა პოლიციელმა, ბრალდებულის ცოლისგან მიიღო.<sup>68</sup> „სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ჩატარებული ჩხრეკა მიიჩნია კანონიერად ვინაიდან ბრალდებული ჩხრეკაზე ნებართვის მიღების დროს არ იმყოფებოდა ადგილზე და შესაბამისად უარი ვერ განაცხადა. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი (ბრალდებულზე ამბზე აპელირებდა), რომ ბრალდებულის ადგილზე არ ყოფნა განპირობებული იყო სწორედ პოლიციელების მიერ მისი დაკავებით. სწორედ ეს ერთადერთი გარემოება განასხვავებს ამ საქმეს Georgia v. Randolph- ის საქმისგან. საყურადღებოა ისიც, რომ სასამართლომ Fernandez-ის საქმეზე უარი თქვა ემსჯელა იმ საკითხზე ხომ არ მომხდარა პოლიციის მხრიდან Fernandez-ის გაყვანა სახლიდან იმ მიზნით, რომ მისგან უარი არ მიეღოთ ჩხრეკის ჩატარებაზე“<sup>69</sup>

ზემოაღნიშნული საქმეების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1) აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიდგომა თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით, დროთა განმავლობაში იცვლება, რადგან ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებებმა აჩვენეს, რომ მესამე პირის თანხმობით ჩხრეკის ჩატარება კანონიერია, მთავარია, ადგილზე მყოფმა სხვა თანამესაკუთრემ/თანამფლობელმა უარი არ განაცხადოს, მაშინ, როცა Amos-ს საქმეზე სასამართლომ არ მიიჩნია კანონიერად ამგვარი ჩხრეკა და განმარტა, რომ ბრალდებულის მეუღლის თანხმობა ჩხრეკაზე არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულზე უარს ამბობს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით სარგებლობაზე. 2) ასევე მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გამიჯნა ჩხრეკა ჩატარებული ოფისში და ჩხრეკა საცხოვრებელ სახლში. იმ შემთხვევაში თუ საჯარო დოკუმენტაციის ამოღება ხდება და არა პირადი დოკუმენტების, ასეთ დროს თანხმობის ვალიდურობის შემოწმების სტანდარტი ქვემოთ იწევს. 3) სასამართლომ მესაკუთრის

<sup>67</sup> Georgia v. Randolph (2006) გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/547/103/>

<sup>68</sup> Fernandez v. California (2013) გვ:2-4 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე [https://www.supremecourt.gov/opinions/13pdf/12-7822\\_he4l.pdf](https://www.supremecourt.gov/opinions/13pdf/12-7822_he4l.pdf)

<sup>69</sup> Fernandez v. California and expansion of Third-Party consent searches (2015) გვ: 7

თანხმობის არსებობის მიუხედავად, ჩატარებული ჩხრეკა მიიჩნია უკანონოდ, ვინაიდან გაჩხრეკილი ქონებით სარგებლობდა არა ეს მესაკუთრე, არამედ ქონების დამქირავებელი. შესაბამისად სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არაკანონიერი ხელყოფა იმ პირის მიმართ, რომელსაც მართალია უფლებრივად ქონებასთან მიმართებით უფრო ნაკლები ხარისხის უფლებამოსილება ჰქონდა (მფლობელობა), თუმცა ფაქტობრივად მისი პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხე უფრო მაღალი იყო ვიდრე ქონების მესაკუთრისა. 4) დროთა განმავლობაში შეიცვალა ასევე მიდგომა ჩხრეკის ჩატარებაზე ერთ-ერთი თანამესაკუთრის უართან დაკავშირებით. უფრო ადრინდელ გადაწყვეტილებაში (Matlock v. United States) სასამართლომ უგულებელყო ადგილზე მყოფი ბრალდებულის უარი და ჩხრეკა კანონიერად მიიჩნია, რადგან სხვა თანამესაკუთრემ განაცხადა მის ჩატარებაზე თანხმობა, რაც აბსოლუტურად მიუღებელი იყო და შემდგომში შეიცვალა აღნიშნული მიდგომა და ადგილზე მყოფი ბრალდებულის უარს უკვე შეუძლია „გადანონოს“ სხვა თანამესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა.

„აშშ-ს მოსამართლეებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების მოსაზრებებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ სულ მცირე სამი დოქტრინალური საფუძველი ჩხრეკის ჩატარების:

- *Schneekloth v. Bustamonte* ამ საქმიდან განვითარდა მიდგომა, რომლის მიხედვითაც თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის შემთხვევაში არ არის საჭირო არც სასამართლოს ნებართვა და არც „საკმარისი საფუძვლის“ (probable cause) არსებობა. ქართული საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც ამ მიდგომის შესაბამისია (ვინაიდან არ არის საჭირო არც სასამართლოს განჩინება და არც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობა)
- სხვა თეორიის თანახმად, თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა ტექნიკურად რომ ვთქვათ, საერთოდ არ წარმოადგენს „ჩხრეკას“, რადგან პირი თავად ამბობს უარს მის უფლებებზე, რომელიც აშშ-ს კონსტიტუციის მე-4 შესწორებით არის დაცული.
- საბოლოო მოსაზრების თანახმად, ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გონივრული, საფუძვლიანი იყო პოლიციის მიერ განხორციელებული მოქმედება კონსტიტუციის მე-4 შესწორებასთან მიმართებით.<sup>70</sup> ეს მოსაზრება განავითარა მოსამართლე სკალიამ საქმეზე *Rodriguez v. Illinois*. ამ გადაწყვეტილების თანახმად, იმისთვის, რომ მესამე პირის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა ჩაითვალოს კანონიერად/ვალიდურად „საჭიროა შეფასდეს, ჩხრეკის ჩატარების დროს რამდენად გონივრული იყო

---

<sup>70</sup>Tracey Maclin – the good and bad news about consents searches in the supreme court. Boston University School of Law (2008) გვ:3

პოლიციელების ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ თანხმობა მიიღეს უფლებამოსილი მესამე პირისგან.<sup>71</sup>

როგორც ვხედავთ, თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების ვალიდურობასთან დაკავშირებით აშშ-ს სასამართლოში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პოზიცია. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების ნაწილი თავისი დასაბუთებიდან გამომდინარე სანიმუშოა და სასურველია თუ ქართული მართლმსაჯულების სისტემაშიც იქნება გაზიარებული.

#### IV თავი

##### დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება

ქართული სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც გულისხმობს მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას მოიპოვონ და სასამართლოში გამოიკვლიონ მათი პოზიციის დასაბუთებლად საჭირო მტკიცებულებები. დაცვის მხარეს საგამოძიებო მოქმედებათა უმეტესობის ჩატარება შეუძლია მხოლოდ სასამართლოსთვის ან პროკურორისთვის მიმართვის საფუძველზე. ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედების, მაგალითად- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებას კანონმდებელი დაცვის მხარეს საერთოდ არ ანიჭებს.

რაც შეეხება მოცემული ნაშრომისთვის საინტერესო საგამოძიებო მოქმედებას -- ჩხრეკა-ამოღებას. დაცვის მხარეს დღეს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლება ჩაატაროს ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, თუმცა ბრალდების მხარისგან განსხვავებით, ამას გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ვერ ჩაატარებს. შესაბამისად, ბრალდებულისთვის სასარგებლო მტკიცებულების განადგურების/დაზიანების რისკი მაღალია დაუყოვნებელი რეაგირების შეუძლებლობის გამო.

ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად აუცილებელი განჩინების მისაღებად, დაცვის მხარემ დასაბუთებული შუამდგომლობით უნდა მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს, რომლის მიერ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელი არჩევს გამომძიებელს, რომელიც არ შეიძლება იყოს იმავე საქმეზე გამომძიებლის მწარმოებელი პირი. ასეთი დათქმით კანონმდებელი ცდილობს „ობიექტური“ გამომძიებელი ჩართოს დაცვის ინიციატივით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში. თუმცა საყურადღებოა ის საკითხი, რომ გამომძიებელი, რომელიც დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ატარებს ჩხრეკა-ამოღებას, რამდენად ობიექტური და მოტივირებული იქნება, რომ მოიპოვოს გამამართლებელი ან პასუხისმგებლობის

<sup>71</sup>Rodriguez v. Illinois. (1990) გვ:179 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/497/177/#tab-opinion-1958395>

შემამსუბუქებელი მტკიცებულებები? ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარის ინიციატივით საგამოძიებო მოქმედებას არ ატარებს ის გამომძიებელი, რომელიც კონკრეტულ საქმეზე ჩხრეკის ინიციატორი მხარის მონინალმდევე მხარეა, მაინც არსებობს კითხვის ნიშნები მის ობიექტურობასთან დაკავშირებით, ვინაიდან გამომძიებელი წარმოადგენს ბრალდების მხარეს და არა ნეიტრალურ ფიგურას, რომელსაც არავითარი დაინტერესება არა აქვს საქმისადმი. მითუმეტეს, როცა დაცვის მხარეს არა აქვს შესაძლებლობა შეამოწმოს რამდენად კანონიერად თუ გულისხმიერად შეასრულა გამომძიებელმა დავალება და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამისი ზომების მიღება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ გამოძიების ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში, არ წარმოადგენდეს ბრალდების მხარეს, რაც შექმნის იმის რეალურ მოლოდინს, რომ გამომძიებელი მართლაც ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად ჩაატარებს გამოძიებას.

„გარდა იმისა, რომ დაცვის მხარე გადაუდებელი აუცილებლობით ვერ ჩაატარებს ჩხრეკა-ამოღებას, ამასთანავე, თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის არსებობის მიუხედავადაც დაცვის მხარეს სასამართლოს განჩინება სჭირდება.“<sup>72</sup> აღნიშნული კი ნიშნავს დაცვის მხარის ჩაყენებას ბრალდების მხარესთან არათანასწორ მდგომარეობაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 120-ე მუხლის X ნაწილი, რომლის თანახმად: „დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს“. მოცემულ საქმეზე მოსარჩელე აცხადებდა, რომ სადავო ნორმა დაცვის მხარეს ავალდებულებდა, რომ პირველადი გამოკვლევისთვის პროკურორისთვის გადაეცა ისეთი მტკიცებულებებიც, რომლებიც ბრალდებულისთვის უარყოფით შედეგებს იწვევდა, რაც მოსარჩელის აზრით, წინააღმდეგობაში მოდიოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრინციპთან. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან (საპოცესო უფლებები) და 62-ე მუხლის მე-5 ნაწილთან (თანასწორობა და შეჯიბრებითობა).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის მხარეებს“<sup>73</sup>

<sup>72</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედ. ლ. ფაფიაშვილი (2017) გვ: 458

<sup>73</sup> ვეფხვაძე ლ.- შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების ეტაპზე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.

ჟურნალი: მართლმსაჯულება და კანონი №2(54) 2017 წ. გვ:121



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ ისინი საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები“<sup>74</sup> „მხარეს უნდა ჰქონდეს სამართალწარმოებაზე სამართლებრივი გავლენის მოხდენის, მტკიცებულებების იმ პირობებში მოპოვება-წარდგენის და საკუთარი ინტერესების დაცვის გონივრული შესაძლებლობა, რომელიც არ აყენებს მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში“<sup>75</sup>. საკონსტიტუციო სასამართლომ სსსკ-ის 120-ე მუხლის X ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტისას მიიჩნია, რომ სადავო ნორმა „თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შეზღუდვას იწვევს არა იმის გამო, რომ ბრალდების მხარე პირველი იკვლევს ობიექტს, არამედ იმიტომ, რომ არ არსებობს პირველადი გამოკვლევის პროცესზე შესაბამისი კონტროლის განხორციელების და შესაძლო რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობა“<sup>76</sup> მოცემულ საქმეზე მოპასუხე მხარე აცხადებდა, რომ ტერმინი „გამოკვლევა“ გულისხმობდა „არა შინაარსობრივ გამოკვლევას ან ექსპერტიზას, არამედ მოიცავდა მხოლოდ ამოღებული ობიექტის გარეგნულ დათვალიერებას, გაცნობას“.<sup>77</sup> თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხის ამ პოზიციას და აღნიშნა, რომ „ტერმინი „გამოკვლევა“ იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ აკონკრეტებს პირველადი გამოკვლევის ბუნებას და არ განსაზღვრავს მისი განხორციელების პროცედურას შესაბამისად, ბრალდების მხარეს, მისთვის სადავო ნორმით განსაზღვრული ობიექტების გადაცემის შემდგომ არ ბოჭავს რაიმე საკანონმდებლო მზღუდავი საშუალება, რათა პირველადი გამოკვლევა განხორციელოს მხოლოდ სსსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებისა და მტკიცებულებათა გაცნობის პროცედურის შესაბამისად. ამასთანავე ეს შემთხვევა ვერ იქნება განხილული სსსკ-ის 83-ე მუხლის კონტექსტში ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად მხარეები ერთმანეთს უცვლიან მხოლოდ იმ

<sup>74</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქ-ოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქ-ოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-28 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-mogalage-xatuna-shubitidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdg1.page>

<sup>75</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქ-ოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქ-ოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-8 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3566537?publication=0>

<sup>76</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქ-ოს მოქალაქე ტიტო ჩორგოლიანი საქ-ოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-27 აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია <http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-4-809-saqartvelos-mogalage-titiko-chorgoliani-saqartvelos-parlamentis-winaagmdg2.page>

<sup>77</sup>იქვე II-15

მტკიცებულებებს, რომელთა სასამართლოში წარმოდგენასაც აპირებენ და არა ნებისმიერ მათ მიერ მოპოვებულ საგანს, ნივთს, ნივთიერებასა თუ დოკუმენტს.<sup>78</sup>

2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „პირველადი გამოკვლევის“ ინსტიტუტის ბუნდოვანი ხასიათი და პროცედურის განუსაზღვრელობა რაიმე ნორმით ქმნის იმის რისკს, რომ ბრალდების მხარე გააჭიანურებს „გამოკვლევას“ (შეიძლება წინასასამართლო სხდომამდეც არ მიეცეს დაცვის მხარეს „თავისი“ მტკიცებულების გამოკვლევის შესაძლებლობა) ან საერთოდ არ გადასცემს ამოღებულ ობიექტს დაცვის მხარეს ვინაიდან ამის ვალდებულებას კანონი ბრალდების მხარეს არ აკისრებს. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „კანონმდებელს აქვს საშუალება დაადგინოს სხვაგვარი, ნაკლებად მზღუდავი საკანონმდებლო რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა დროულად მიღებას, მის მიერ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას ბრალდების მხარისგან პირველადი გამოკვლევის ფარგლებში არსებული ობიექტის გამოთხოვის შესახებ, ამასთან, განადგურებად/გამოლევად მტკიცებულებებთან მიმართებით, შეთანხმებული, ერთობლივი გამოკვლევის შესაძლებლობით ან სხვა ფორმით უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა სათანადოდ გამოკვლევის შესაძლებლობა.“<sup>79</sup> შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით.

სსსკ-ის 120-ე მუხლის X ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნისას მოსარჩელე ასევე აცხადებდა იმას, რომ „დაცვის მხარის ნების გაუთვალისწინებლად ამოღებული მტკიცებულების ბრალდების მხარისთვის მიწოდება ზღუდავდა თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებას, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ სსსკ-ის 120-ე მუხლის X ნაწილი ადგენს შედეგს, რომელიც მოჰყვება დაცვის მხარის მიერ მისი ნების თავისუფლების პირობებში სასამართლოს წინაშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობის წარდგენას. ნების თავისუფლებით განხორციელებული ქმედების შედეგის შესაძლო არასასურველობა ვერ იქნება კონსტიტუციის მითითებული ნორმის შემზღუდველი ფაქტორი.“<sup>80</sup>

ვფიქრობ, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება მეტად შეზღუდულად განმარტა. მართალია სსკ-ის 120-ე მუხლის X პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ ხდება დაცვის მხარის ნებაზე ზემოქმედების გზით მისგან მტკიცებულებების მოპოვება თუმცა, ვფიქრობ, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ირიბად მაინც იზღუდება. ვინაიდან, დაცვის მხარის ნებისგან

<sup>78</sup>იქვე II- 16, II-17

<sup>79</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქ-ოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქ-ოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-38

<sup>80</sup>იქვე II-44

დამოუკიდებლად, მისი ინიციატივით ამოღებულ ობიექტზე პირველი შემხებლობა აქვს პროკურორს. იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარისთვის წინასწარ უცნობია რა სახის ობიექტი იქნება ამოღებული -- ბრალდებულისთვის სასარგებლო თუ პირიქით, იქმნება საფრთხე, რომ ბრალდების მხარე ბრალდებულის წინააღმდეგ გამოიყენებს დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას, რომლის წარმოდგენას დაცვის მხარე სასამართლოში არ აპირებს. ასეთი მიდგომა დაცვის მხარეს კიდევ უფრო პასიურს გახდის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კუთხით (ზემოაღნიშნული რისკის არსებობის გამო), ამასთანავე მხარეებს არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ სასამართლოს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არასწორია.

### დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში, გამოკვეთილი იქნა ის პრობლემური საკითხები (ნაწილი), რომლებიც ჩხრეკა-ამოღებას უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებული ტენდენცია, კერძოდ. საგამოძიებო ორგანოების მიერ, ამ საგამოძიებო მოქმედებისთვის კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის გვერდის ავლა, ვინაიდან სტატისტიკა ნათელყოფს, რომ სასამართლოს განჩინების გარეშე ხშირად ხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევა, რელევანტური საფუძვლის გარეშე, რასაც კიდევ უფრო ახალისებს სასამართლოების მხრიდან ამგვარ ჩხრეკა-ამოღებათა უმრავლესობის დაკანონება. საჭიროა სასამართლომ სათანადოდ შეათვასოს რამდენად იყო კონკრეტულ შემთხვევაში დაუყოვნებელი მოქმედება საჭირო და რამდენად რეალური საფრთხე ემუქრებოდა მტკიცებულებას მყისიერი რეაგირების გარეშე. პრობლემურია ასევე მხოლოდ კონფიდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმება ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან ასეთ ინფორმაციაზე პროკურორის ზედამხედველობა შეზღუდულია, ხოლო სასამართლო კი სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას შემოწმოს იგი.

ნაშრომში ასევე განხილული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩხრეკა-ამოღების კანონიერებისთვის დადგენილი სტანდარტები. სასურველია თუ ქართულ კანონმდებლობაშიც იქნება გათვალისწინებული ისეთი სტანდარტები, როგორცაა: გასაჩხრეკი ობიექტის მაცხოვრებლისთვის იმის შეთავაზება, რომ დაესწროს ჩხრეკას, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის ამ პროცესს. ასევე სასურველია, თუ დოკუმენტების ჩხრეკაზე დამატებითი, სპეციალური შეზღუდვები დაწესდება, ვინაიდან,

დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ (განსაკუთრებით თუ ადვოკატს ეხება) საიდუმლოებას.

ნაშრომი შეეხო ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ საკასაციო სასამართლოს მიდგომა არ შეესაბამება სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, სადაც მკაფიოდაა აღნიშნული, რომ შესაბამისი სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში, ჩხრეკის ჩასატარებლად განჩინება აღარ არის საჭირო.

თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება, რომ პრობლემას წარმოადგენა, ამას ნათელყოფს ნაშრომში მოყვანილი არაერთი გადანწყვეტილება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან. 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება იძლევა ფართო არეალს გამოძიებისთვის, რაც საფრთხეს უქმნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ამიტომ საჭიროა მოცემული ნორმა მოვიდეს შესაბამისობაში კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ან საერთოდ არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი.

ნაშრომში ასევე განხილული იყო დაცვის მხარის უფლებამოსილება ჩხრეკის ჩატარებისას და არსებული პრობლემები. ასევე შეფასდა საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი გადანწყვეტილება, რომლითაც დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება ბრალდების მხარეს აღარ აქვს.

## ბიბლიოგრაფია

### I კანონმდებლობა:

- 1 საქართველოს კონსტიტუცია (10.07.19 მდგომარეობით)
- 2 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (10.07.19 მდგომარეობით)
- 3 აშშ-ს კონსტიტუცია (30.05.19 მდგომარეობით)

### II სამეცნიერო ლიტერატურა:

- 4 ომარ ჯორბენაძე - წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები. ნაწილი პირველი რედ. თამაზ ჩადუნელი. გამომცემლობა „ლეო“ (2016 წელი)
- 5 ქეთევან მესხიშვილი - ერთიანი განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის არსებობის მიზანშეწონილობა სასამართლო სისტემაში. შურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N 2(33) რედ: ნინო ძიძიგური, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია. თბილისი 2012 წ.
- 6 კანონის უზენაესობა სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისათვის. გამომც: ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი (შვედეთი) და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი (ნიდერლანდები), ლუნდი და ჰააგა (2012 წ-ის აგვისტო)
- 7 ჯაბა უსენაშვილი, . პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერტიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას. სამართლის შურნალი N2, მთ. რედ: ბესარიონ ზოიძე, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (2012 წ.)
- 8 ლაშა ლურსმანაშვილი / ილია ბაძალუა - თანამესაკუთრის (თანამფლობელის) თანხმობის საფუძველზე ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების პრობლემატიკა სისხლის საპროცესო სამართალში (უპირატესად ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტების საფუძველზე). სამეცნიერო შურნალი ახალგაზრდა ადვოკატები N9, გამომც: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ და შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“, თბილისი, (2018 წ. ივლისი)
- 9 ლევან ვეფხვაძე - შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების ეტაპზე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე . შურნალი: მართლმსაჯულება და კანონი №2(54), რედ: ნინო ძიძიგური, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია. თბილისი. (2017 წ.)
- 10 მიხეილ შარაშიძე -- საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი ანალიზი, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. რედ. კონსტანტინე კორკელია, გამომც: GIZ, თბილისი, (2014 წელი)
- 11 მაიკო ოქრუაშვილი - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. გამომც: თავისუფლების ინსტიტუტი, რედ: აკაკი მინაშვილი, თბილისი (2005 წელი)
- 12 შტევან ტრექსელი - ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, Oxford University Press, თბილისი, (2009 წ.)
- 13 გვამკვლევი სასამართლო საქმისწარმოებაში -ბროშურა, გამომც: საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი (2011 წელი)

- 14 პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა - საქართველოს უზენაესი სასამართლო, USAID-ის და EU4J-ის მხარდაჭერით, თბილისი (2017 წელი)
- 15 იურგენ შვაბე - გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები, რედ: კონსტანტინე კუბლაშვილი, GIZ (2011 წელი)
- 16 ნანა მჭედლიძე, კონსტანტინე კორკელია და ალექსანდრე ნალბანდოვი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, (2003 წელი)
- 17 ნანა მჭედლიძე - საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები. თბილისი (2017 წლის იანვარი)
- 18 სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში. ანგარიში N 12 (2018 წ) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

### III კანონმდებლობის კომენტარები

- 19 საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, რედაქტორი ლალი ფაფიაშვილი, მერიდიანი, (2017 წ.)
- 20 ირაკლი კობახიძე / ავთანდილ დემეტრაშვილი. კონსტიტუციური სამართალი (მეორე გამოცემა). რაიზი, თბილისი. (2014 წ.).
- 21 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი კომენტარის ავტორი - ირაკლი კობახიძე, რედ: პაატა ტურავა, გამომც: შპს „პეტიტი“, თბილისი (2013 წ.)

### IV სასამართლოს გადანყვეტილებები:

- 22 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმე N 1გ-139. <http://library.court.ge/judgements/29402015-02-16.pdf>
- 23 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წ.-ის 14 ივლისის განჩინება 1გ/1197 <http://library.court.ge/judgements/5232016-07-20.pdf>
- 24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2016 წლის 19 მაისის განჩინება N609 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>
- 25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადანყვეტილება N 1/3/407 <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-axalgazrda-iuristta-asociacia-da-saqartvelos-moqalage-ekaterine-lomtavidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-429.page>
- 26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადანყვეტილება N 1/1/625,640 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731?publication=0>
- 27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება № 454 „ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2008 წლის 19 დეკემბერი

აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია:<https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქ-ოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქ-ოს პარლამენტის წინააღმდეგ“<http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/sagartvelos-mogalage-xatuna-shubitidze-sagartvelos-parlamentis-winaagmdeg1.page>

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქ-ოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქ-ოს პარლამენტის

წინააღმდეგ“<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3566537?publication=0>

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქ-ოს მოქალაქე ტიტოკო ჩორგოლიანი საქ-ოს პარლამენტის წინააღმდეგ“<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-4-809-sagartvelos-mogalage-titiko-chorgoliani-sagartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page>

31 კონსტიტუციური სარჩელი გიორგი დიასამიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2017 წლის 10 აპრილი. გვ:5 აღნიშნული ხელმისაწვდომია:

<https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>

#### V *უცხოენოვანი ლიტერატურა:*

32 Tracey Maclin – the good and bad news about consents searches in the supreme court. Boston University School of Law (2008)

33 Sharon E. Abrams – Third-Party Consent Searches, the Supreme Court and the Fourth Amendment. Journal of Criminal Law and Criminology. Volume 75, issue 3, Article 21 (1984)

34 Guide on Article of the European Convention on Human Rights (Right to respect for private and family life, home and correspondence), European Court of Human Rights, (2019)

35 Fourth Amendment/Search and Seizure. Authenticated U.S. Government information GPO (1992)

36 Fernandez v. California and expansion of Third-Party consent (2015)

#### VI *უცხო ქვეყნების სასამართლოების გადაწყვეტილებები:*

37 Buck v. Germany (2005) European Court of Human Rights გადაწყვეტილება

ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://www.legal-tools.org/doc/5f362f/pdf/>

38 Katz v. United States (1967) გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/389/347/>

39 Amos v. United States . (1921) გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე - <https://supreme.justia.com/cases/federal/us/255/313/>

40 Davis v. united states (1946) გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/328/582/>

41 Chapman v. united states (1961) გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/365/610/>

42 Frazier v. cup (1969) გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/394/731/>

- 43 *Schneckloth v. Bustamonte* (1973) გადანყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/412/218/#tab-opinion-1950309>
- 44 *Matlock v. United States* (1974) გადანყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/415/164/#tab-opinion-1950657>
- 45 *Silva v. State* (1977) გადანყვეტილება ხელმისაწვდომია აქ <https://law.justia.com/cases/florida/supreme-court/1977/49094-0.html>
- 46 *Georgia v. Randolph* (2006) გადანყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/547/103/>
- 47 *Fernandez v. California* (2013) გადანყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე [https://www.supremecourt.gov/opinions/13pdf/12-7822\\_he4l.pdf](https://www.supremecourt.gov/opinions/13pdf/12-7822_he4l.pdf)
- 48 *Rodriguez v. Illinois*. (1990) გადანყვეტილება ხელმისაწვდომია აღნიშნულ ბმულზე <https://supreme.justia.com/cases/federal/us/497/177/#tab-opinion-1958395>

VII *ელექტრონული წყაროები:*

- 49 <https://www.nolo.com/> NOLO, Criminal Defence-attorney\*s website (ბოლო ნახვა განხორციელდა 29.05.19)